ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## მუსლიმი თემი მამუკა მდინარაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს



გვ.3

პარასკევი, 24 თებერვალი, 2023 №39 (9075) ფასი: 80 თეთრი

# დღეს უნდა დავაფიქსიროთ, რომ დასავლური სამყაროს ნაწილი ვართ!



ვახტანგ ძაბირაძე: „თუ შემოდგომისთვის გამოიკვეთება, რომ უკრაინა ომს იგებს, მაშინ ივანიშვილი თვალის დაუხამხამებლად მოიშორებს არსებულ გუნდს“ გვ.3



## „გახარია „ქართული ოცნების“ ყველა სცენარისთვის მზადაა!“

„ბევრი ადამიანია, რომელიც ამ აქციაში უკრაინის კომპონენტს უფრო ხედავს, ვიდრე ვიღაც სამეულის მიერ დაანონსებულ უცნაურ თავყრილობას. ბევრი ადამიანი იქ მივა, როგორც უკრაინის მხარდამჭერი“

## კახა ქემოკლიძე: „დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა არის „ქართული ოცნების“ ჟანგბადი და წყალი. ჩვენ მათთან ვერ ვითანამშრომლებთ“

გვ.2



## „რაც სააკაშვილი დააპატიმრეს, ნაცმოძრაობაში სხვებმა აიწყვიტეს“

გიგა ბუკია: „უკრაინას თანავუგრძნობთ, უკრაინელ ხალხს ომში მხარს ვუჭერთ, მაგრამ 24 თებერვლის აქციას ფიზიკურად არ ვუერთდებით“



გვ.3



ირაკლი ღარიბაშვილმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს პირადად გამოუცხადა თანაგრძნობა მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა გამო გვ.2



## „აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში ანტირუსული განწყობაა“

გვ.4

ჯემალ გამახარია: „ლუკაშენკოს აფხაზეთის აღიარება არ უნდა. ჩვენი დაუფიქრებელი, ზღვარგადასული განცხადებებით, არ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ბელორუსიამ აფხაზეთი აღიაროს“

1993230720223

2 „ივანიშვილმა კობახიძეს უთხრა, მოგხსნიო“

6 ბაიდენმა პუტინს უპასუხა

2 რუსეთში ბომბდამშენი ჩამოვარდა

2 რიკოთზე ერთმანეთს ორი სატვირთო შეეჯახა

# „გახარია „ქართული ოცნების“ ყველა სცენარისთვის მზადაა!“

ნონა ცაბაძე



## კახა ქემოკლიძე: „დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა არის „ქართული ოცნების“ ჟანგბადი და წყალი. ჩვენ მათთან ვერ ვითანამშრომლებთ“

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.**

***– ბატონო კახა, ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მძიმდება ვითარება ჩვენს ქვეყანაში. ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება როგორც იქცევა, საზოგადოებისთვის ეს ბოლო წვეთიაო. რომ იტყვიან, ფიალა სავსეაო. რა რეაქციებს უნდა ველოდეთ საზოგადოებისგან?***

– ბოლო წვეთი რამდენად არის ეს ყველაფერი ქართველი საზოგადოებისთვის, საბოლოო ჯამში, ამის შეფასება ცოტა რთულია. გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში დიდი იმედგაცრუება ნახა ქართული პოლიტიკის მხრიდან. მე მაინც მგონია, რომ საქართველოს მოქალაქეები, მოთმინებით და გონიერებით ამ ყველაფერს გააანალიზებენ და საკუთარ გადაწყვეტილებას, რეზულტატიურად 2024-ის არჩევნებზე დააფიქსირებენ. ეს არის ჩემი პრაგმატული მოლოდინი.

***– 2024-მდე არ შეიცვლება სიტუაცია? ხომ შეიძლება უცებ იფეთქოს პროტესტმა?***

– ერთი ამერიკული გამოთქმა მახსენდება მსგავსი კითხვის დასმისას – ცხოვრება შოკოლადის ყუთს ჰგავს, გახსნი და არ იცი, რა ამოგივა. საქართველოს პოლიტიკაც ასეა, შოკოლადის ყუთს ჰგავს, გახსნი და არ იცი, რა შეგხვდება. დღეს რომ „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც არც ერთ შემთხვევაში არ აისახება, ჩვენდა სამწუხაროდ, რიგითი ადამიანების ჯიბეზე, ეს ხალხი როდის გაბრაზდება, როდის ამოასხამს და როდის განაწყენდება კრიტიკულ წერტილამდე, საქართველოს ხელისუფლებაზე, ეს არავინ იცის. შეიძლება ეს მოხდეს 2024-ის არჩევნებისთვის და შეიძლება ეს მოხდეს ხვალ ან ზეგ.

ქართული პოლიტიკური გარემო იმდენად ეკლექტურია, იმდენად ადვილად მსხვრევადია, რომ ამის განჭვრეტა შეუძლებელია. გავრილოვის ღამე ამის არაჩვეულებრივი მაგალითი იყო. საზოგადოება გაბრაზდა და აზვირთდა პროტესტი ერთ კონკრეტულ ფაქტზე. დღეს „ქართული ოცნება“ იმდენად სერიოზულ გეოპოლიტიკურ შანსს გვაკარგვინებს და ამას უკვე ფაქტიურად ღიად აკეთებს, რომ როდის გაბრაზდება ქართველი საზოგადოება, არავინ იცის.

***– ბატონო კახა, დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ამ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, ჯაშუშების თემას ატრიალებს ხელისუფლება. უტევს არასამთავრობო სექტორს. რა გადაწყვიტა „ოცნებამ“? ჩახსნას პროცესებს არასამთავრობო სექტორი და მოიშოროს ერთ-ერთი ძლიერი ოპონენტი?***

– ამ კანონის მიზანი და ამოცანა არის შემდეგი: სრული დისკრედიტირება, აბსოლუტური „გაშავება“ მოახდინოს არასამთავრობო სექტორის. არა მარტო არასამთავრობო სექტორის, მედიასაშუალებების, კონკრეტული ანალიტიკური ცენტრების, მკვლევარების, მეცნიერების, რომლებიც სხვადასხვა სტიპენდიებს და გრანტს იღებენ, რომ ესა თუ ის საკითხი შეისწავლონ. ეს ის ინტელექტუალური სეგმენტია, რომელიც რეალურად ოპონირებას უწევს ნებისმიერ ხელისუფლებას. ეს სეგმენტი აქტიური იყო 2012 წლამდე. ეს სეგმენტი არ უყვარდა პრეზიდენტ სააკაშვილს და მაშინდელ ხელისუფლებას. ეს სეგმენტი არ უყვარს არც ერთ ხელისუფლებას. მე რომ ვამბობ თქვენთან ინტერვიუებში, რომ დღევანდელი ხელისუფლება ერთი ერთში დაემსგავსა პრეზიდენტ სააკაშვილის ბოლო წლების მმართველობას, ამასაც ვგულისხმობ.

***– მაქსიმალურად კონტროლირებადი უნდათ, რომ გახადონ ყველაფერი?***

– დიახ და სწორედ მაგ პრიზმიდან დარდება რუსულ კანონთან. რუსული კანონი როდის იქნა მიღებული? 2012 წელს. რატომ 2012 წელს და უფრო ადრე? პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა 1999 წელს. იმიტომ, რომ 2012 წელი უკავშირდება ცნობილი ე. წ. ბალოტნაიას გამოსვლებს. მაშინ რუსული ოპოზიციური სპექტრი, ისევე, როგორც არასამთავრობო სექტორი, ძალიან აქტიური იყო. 40 ათასი ადამიანი გამოდიოდა მაშინ და პუტინის რეჟიმი, პირველად სწორედ მაშინ შეყანყალდა. სწორედ მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება თუ როგორ უნდა გაეგუდათ არასამთავრობო სექტორი და ეს იყო სწორედაც ის კანონი, რომელმაც პირდაპირ ძირი გამოუთხარა მათ საქმიანობას.

***– იგივე ხდება ჩვენთან?***

– აბსოლუტურად იგივე. დღეს რუსეთში არასამთავრობო სექტორი აღარ არსებობს. დამოუკიდებელი მედია აღარ არსებობს. მე ვსვამ კითხვას, „ქართული ოცნების“ ლოგიკას რომ გავყვეთ, ეს კანონი რა წმინდათა წმინდა მიზანს უნდა ემსახურებოდეს? დღეს ჩვენს მოსახლეობას ამის საჭიროება უდგას? ის, რომ არ გვყოფნის ხელფასები, ყველაფერი გაძვირდა, კოლოსალური ინფლაციაა, ადამიანები გარბიან ქვეყნიდან. მიდის ყველაზე კვალიფიციური სამხედრო პერსონალი, პოლიციელები, უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები. აი ამ ყველაფრის ფონზე, ამდენი პრობლემის ფონზე, დღეს საჭიროება აქვს საქართველოს მოსახლეობას ამ კანონის მიღების?! რა დონის აბსურდია, ხომ წარმოგიდგენიათ! ეს კანონი ერთი ერთში არის რუსული ანალოგიის.

***– ანუ ბიძინა ივანიშვილი ყველა გზით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას? წამსვლელია ყველაფერზე?***

– დიახ. სწორედაც ასეა. ახლახან დაიდო ვითომ „ხალხის ძალის“ განცხადება, რომელიც იგივე „ქართული ოცნებაა“, რომ არ სჭირდებათ ასეთი ევროკავშირი. ხალხს სწორედ რომ უნდა ასეთი ევროკავშირი.

***– „ქართული ოცნება“ აღარ მალავს, რომ არ უნდათ ევროკავშირი.***

– დიახ, ფაქტიურად ღიად დეკლარირებს ამასთან დაკავშირებით. მეტიც, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ზოგიერთი მთავრობის წევრი, სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, ღიად დეკლარირებს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა მულტილატერალურია. ანუ სხვადასხვა მიმართულებით იყურება უკვე. უკაცრავად პასუხია და ეს როდიდან გადაწყვიტეს? ან ვინ გადაწყვიტა?! საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს მომავალი არის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა 80-85% ემხრობა ამას. ვინ გადაწყვიტა, ვინ მისცა უფლება „ქართულ ოცნებას“, რომ ეს გადაწყვეტილება ინდივიდუალურად მიიღოს?! მე ვსვამ კითხვას, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომელმაც ბევრი რამ იცის დეტალების შესახებ და იცის, როგორ მუშაობს სახელმწიფო აპარატი ამ კუთხით. ქვეყნის შიგნით ძალიან ბევრი პროფესიონალი მუშაობს, მათ შორის მაღალ თანამდებობებზე, რომლებმაც წლები შეალიეს ამ პროცესს. დღეს და ღამეს ათენებდნენ ამ პროცესის წარმატებისთვის. ამ ადამიანებს ვინმემ უთხრა, რომ თურმე გადაუწყვეტიათ, მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა აქვთ დღეს. საერთოდ ვინ მისცათ ამის უფლება?! ძალიან მნიშვნელოვანია, მოსახლეობას მივაწოდოთ ობიექტური სიმართლე და ადამიანურ ენაზე ავუხსნათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ეს არ არის ვირტუალური მცნება. ეს არის სწორედაც ჩვენი კეთილდღეობა და წარმატება. მშვიდი სიბერე და უსაფრთხოება!

***– ბატონო კახა, საუბრის დასაწყისში გავრილოვის ღამე ახსენეთ და იქვე გამახსენდა გიორგი გახარია, რომელიც ბოლო პერიოდია კვლავ გამოაჩნდა და გააქტიურდა. ირაკლი კობახიძეს კი, რომ იტყვიან, სრული ისტერიკა ემართება ყოველ მის განცხადებაზე. რა ხდება, რა ჩაიფიქრა გიორგი გახარიამ და რატომ აშფოთებს „ოცნების“ ლიდერებს მისი გააქტიურება?***

– „ქართული ოცნების“ შფოთვა ჩვენ არ გვაინტერესებს. პირადად მე ვხარხარებ, როდესაც კობახიძის განცხადებებს ვისმენ. ამაზე კომენტირება არ ღირს. მის ნათქვამზე კომენტარები რომ გავაკეთოთ, ჩვენც მის დონეზე დავეშვებით. რაც შეეხება ბატონი გახარიას გააქტიურებას, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ოპერირებდა, მიუხედავად იმისა, ბევრი ადამიანი საყვედურობდა, რომ მედია დონეზე არ აქტიურობდა. ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ის ყოველთვის აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას.

გიორგი გახარია ხედავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ასე მალულად და ფარულად კურსი შეცვალა. იმის ვაჟკაცობაც კი არ ჰყოფნით, გამოვიდნენ და ღიად თქვან, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ჩვენი არჩევანი აღარ არის.

***– რას აპირებს გიორგი გახარია? რა სამოქმედო გეგმა გაქვთ?***

– ბატონი გახარია აპირებს აქტიურობას, საზოგადოებისთვის სიმართლის მიწოდებას, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

***– სიმართლის თქმასო და საუბრობენ იმის შესახებ, რომ ძალიან ბევრ ინფორმაციას ფლობს გიორგი გახარია, რომელზეც დღეს არ საუბრობს. იტყვის რამეს? საუბარია, რომ სწორედ ამის ეშინია „ქართულ ოცნებას“ და დაასწრებენ და მისი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენო. რას ელოდებით?***

– ჩვენ ველოდებით იდეაში ყველაფერს. „ქართული ოცნებისგან“ აბსოლუტურად ყველა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე



# ირაკლი ღარიბაშვილმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს პირადად გამოუცხადა თანაგრძნობა მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა გამო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა გამო თანაგრძნობა გამოუცხადა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველო მეგობარი თურქი ხალხის გვერდით დგას და მზად არის აღმოუჩინოს ნებისმიერი საჭირო დახმარება.

ანკარაში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ქართველი მაშველების მონაწილეობას, ასევე, საქართველოს მიერ აღმოჩენილ ჰუმანიტარულ დახმარებას. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ირაკლი ღარიბაშვილს რთულ დროს მყისიერად აღმოჩენილი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა თურქ ხალხს გამძლეობა, დაშავებულებს კი, მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

# „ივანიშვილმა კობახიძეს უთხრა, მოგხსნიო“



როგორ მოახდევინა ივანიშვილმა კობახიძეს ბესელიასთვის ძალით ბოდიში – ეკა ბესელია „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში იმ ისტორიას იხსენებს, რომელიც მას „ოცნებაში“ ყოფნის დროს გადახდა.

ბესელია ყვება, რომ ბიძინა ივანიშვილი თანამდებობიდან გადაყენებით დაემუქრა „ოცნების“ თავმჯდომარეს, თუ ეკა ბესელიას ბოდიშს არ მოუხდიდა.

ერთ მხარეს ივანიშვილს ეჭირა და მეორე მხარეს კალაძეს, მოათრევდნენ, ბოდიში რომ მოეხადა ჩემთვის – ბესელია ამბობს, რომ ასეთი ადამიანისგან არაფერი უკვირს.

– ივანიშვილს ისეთი ისტორია აქვს, ვერ მოუნელებია, ყელზე ადგას. ამას ესწრებოდა უმრავლესობის ძალიან ბევრი ადამიანი. 50-60 დეპუტატი. ამას ალბათ არავინ, მათ შორის კახა კალაძეც არ იტყვის, მოერიდებათ, იმდენად საცოდავი კადრი იყო. ივანიშვილი მოათრევდა, ერთ მხარეს ივანიშვილს ეჭირა მისი ხელი და მეორე მხარეს კალაძეს, მოათრევდნენ და ეუბნებოდნენ, მოდი, ახლა ბესელიას ბოდიში მოუხადე, რო გააბრაზეო. მერე, როდესაც ივანიშვილმა უთხრა, ბოდიში მოუხადე, თორემ თანამდებობიდან მოგხსნიო, მერე მოვიდა და გადაწყვიტა მეგობრულად გადამხვეოდა. მე ვუთხარი, ახლოს არ მოხვიდე, აი იქ დაჯექი და ყველას თანდასწრებით ბოდიში მოიხადე-თქო და მოიხადა. ეს ბიჭი ახლა ბევრ რამეს რომ იკადრებს და იტყვის, მე არ მიკვირს. რას იტყვის ქვესკნელიდან ამოსული შეშინებული ბიჭი, რა მნიშვნელობა აქვს, – ამბობს ბესელია.

ირაკლი კობახიძემ აგენტებზე ნადირობის სეზონი გახსნა. კობახიძე ამტკიცებს, რომ გია ხუხაშვილი, ეკა ბესელია და კახა ოქრიაშვილი მერაბიშვილის ჩანერგილი აგენტები იყვნენ.

# რუსეთში ბომბდამშენი ჩამოვარდა



რუსეთის ბელგოროდის ოლქში ჩამოვარდა შეიარაღებული ძალების თვითმფრინავი. ინფორმაცია პირველმა გაავრცელა ოლქის გუბერნატორმა ვიაჩესლავ გლადკოვმა. მან ტელეგრამზე დაწერა, რომ შემთხვევა ქალაქ ვალუიკის მახლობლად მოხდა და მიზეზებს არკვევენ.

მოგვიანებით, რუსულმა სააგენტო „ტასმა“ ძალოვანი სტრუქტურებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერა, რომ ბელგოროდის ოლქის ერთ-ერთი სოფლის განაპირას ჩამოვარდა ბომბდამშენი სუ-24, რომლის პილოტმა კატაპულტირება მოასწრო. კატასტროფის მიზეზს ჯერჯერობით არ ასახელებენ.

რუსეთის ბელგოროდის ოლქი უკრაინის ლუგანსკის, ხარკოვის და სუმის ოლქებს ესაზღვრება. ადგილობრივი ხელისუფლება უკრაინელ სამხედროებს პერიოდულად ადანაშაულებს ოლქის დასახლებული პუნქტების დაცხრილვაში.



# რიკოთზე ერთმანეთს ორი სატვირთო შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა რიკოთის უღელტეხილზე. არსებულ ინფორმაციით, ორი სატვირთო ერთმანეთს შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შეფერხებულია მოძრაობა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დღეს უნდა დავაფიქსიროთ, რომ დასავლური სამყაროს ნაწილი ვართ!

## ვახტანგ ძაბირაძე: „თუ შემოდგომისთვის გამოიკვეთება, რომ უკრაინა ომს იგებს, მაშინ ივანიშვილი თვალის დაუხამხამებლად მოიშორებს არსებულ გუნდს“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, 24 თებერვლის აქციის მიზანი რა უფრო არის, სოლიდარობა გამოუცხადოს უკრაინას თუ მისმა ორგანიზატორებმა პოლიტიკური განაცხადი გააკეთონ და წინასაარჩევნო კამპანია დაიწყონ?***

– ალბათ ორივე ერთად არის, მაგრამ უფრო მგონია, რომ გამოკვეთაა იმის, რომ ჩვენ ვართ პროდასავლელები, „ქართული ოცნება“ – არა. რა თქმა უნდა, ამ აქციას ექნება პოლიტიკური ქვეტექსტებიც და პოლიტიკური გზავნილებიც. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იქნება, რამდენად ხალხმრავალი აქცია გაიმართება.

მე ვფიქრობ, თუ აქცია იქნებოდა რეალურად საზოგადოებრივ საწყისებზე და ის მთლიანად იქნებოდა პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისგან დაცლილი, მაშინ მართლაც ხალხმრავალი გამოსვლა იქნებოდა. ახლა, სიმართლე გითხრათ, არ მაქვს მოლოდინი, რომ ძალიან დიდი აქცია იქნება. მაინც ეს აქცია იმ სამეულთან ასოცირდება, რომლებმაც დააანონსეს და რომლებიც ერთ-ერთ ორგანიზატორადაც ითვლებიან. ალბათ უკეთესი იქნება, თუ არ იქნება პოლიტიკური გამოსვლები და საზოგადოება თავის პოზიციას დააფიქსირებს უკრაინის მხარდაჭერასთან, მის გამარჯვების დიდ სურვილთან დაკავშირებით. რაც მთავარია, ქართველი საზოგადოება თავს წარმოაჩენს, როგორც დასავლური სამყაროს ნაწილად და არა რუსეთის ნაწილად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

***– როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურმა სპექტრმა 2024 წლის არჩევნებისთვის უკვე დაიწყო მზადება?***

– ძალიან შორია 2024 წლის არჩევნებამდე. ჯერ არავინ არ იცის, ამ დარჩენილ დროში რა მოხდება. ძალიან რთული ვითარებაა. საგარეო ფაქტორებს ასე ძალიან გავლენა მოეხდინოს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ჯერ არ ყოფილა. ახლა თითქოს ყველა პროცესი აქ მიმდინარე საგარეო ფაქტორთან არის მიბმული. ამიტომ სრულიად წარმოუდგენელია დღეს დაგეგმო და დაიწყო მომავალი საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.

რაც შეეხება აუდიტორიაზე მუშაობას, ამომრჩევლის შენსკენ წამოყვანას, შენი იდეების გაცნობასა და იმ პრობლემაზე საუბარს, რაც ხალხს აწუხებს, ეს ყოველთვის არის შესაძლებელი და ამას პოლიტიკოსი არჩევნების მეორე დღიდან უნდა აკეთებდეს. ელექტორალური ბაზის მობილიზება აუცილებელიც კი არის, მაგრამ შეფარვით და ამის უკრაინის თემასთან მიბმა, არა მგონია, მთლად პოლიტკორექტული იყოს. ეს ოპოზიციის საწინააღმდეგოდ იმუშავებს და არა მის სასარგებლოდ.

***– გიორგი გახარიას მოულოდნელი გამოჩენა მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან არის კავშირში?***

– როგორც ჩანს, პარტიაზე იწყებს მუშაობას. დიდხანს იყო კულისებში ჩუმად. უფერული გუნდი ჰყავდა. თითქმის არა ცნობადი სახეები. ამიტომ, თვითონ რომ ყოფილიყო ხელმისაწვდომი, მხოლოდ ის იქნებოდა წინა პლანზე. მხოლოდ მასზე იქნებოდა აქცენტი და ეს არ აწყობდა. დღეს მის გუნდს, ასე თუ ისე, ხალხი იცნობს. მართალია ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ რაც არის, ეს არის. ქართული პოლიტიკის რეალობის ადეკვატურია.

***– თუ აქამდე ჟურნალისტები ბიძინა ივანიშვილზე ერთ სიტყვას ვერ დააცდენინებდნენ, ახლა ყველა განცხადება ივანიშვილით იწყება. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?***

– როგორ ჩანს, მიხვდა, რომ ამის გარეშე არაფერი არ გამოვა, ხალხს ვერ მოატყუებს. ყველამ ყველაფერი იცის. ირაკლი კობახიძე რომ არის მთავარი ფიგურა და ის წყვეტს ყველაფერს, ეს ვის უნდა დააჯეროს ან ვინ დაუჯერებს?! ამიტომ, სრულიად გასაგები და სწორი ტაქტიკაა. თუმცა, ერთი არის მნიშვნელოვანი, თუ შეამჩნიეთ, ორივე მიმართულებით არის კატეგორიული. როდესაც ახსენებს „ქართულ ოცნებას“, იქვე ახსენებს ნაციონალურ მოძრაობას. ესეც სრულიად გასაგებია და სწორი ტაქტიკაა. თუ ივანიშვილის პოლიტიკა იყო შუას გაკრეფა, გახარია ამ პოლიტიკას უპირისპირებს.

***– რომ ორივე უნდა გაიკრიფოს?***

– დიახ. არც ერთი და არც მეორე. ამაში არის გონივრული პოლიტიკა, მაგრამ გახარიაც არ არის დაცლილი იმ ცოდვებისგან, რომელიც წარსულს უკავშირდება და უშუალოდ მას აწევს ზურგზე. მისი პრემიერობის დროს ვგულისხმობ. 20 ივნისის ვგულისხმობ. ამიტომ, მხოლოდ ივანიშვილზე მკვეთრი განცხადებები და ორივე ძალის წარსულში გაშვება, არ არის საკმარისი მისი მხრიდან. უფრო მეტია საჭირო.

***– 20 ივნისზე ღიად საუბარი და ერთგვარი აღიარება?***

– რა თქმა უნდა. ეს უნდა შეგეძლოს, თუ პრეტენზია გაქვს მომავალ პოლიტიკაზე.

***– რამდენად არის მოსალოდნელი ახალი ძალების გამოჩენა ან ერთგვარი გადაჯგუფება?***

– „ქართული ოცნების“ ფრთაზე დიდი გარღვევა ანუ რაღაც ტექტონიკური ცვლილებები არ იქნება. თუმცა, თუ შემოდგომისთვის გამოიკვეთება, რომ უკრაინა ომს იგებს, მაშინ ბიძინა ივანიშვილი თვალის დაუხამხამებლად მოიშორებს არსებულ გუნდს, „ოცნების“ დღევანდელ სახეებს, როგორც რუსულ ფრთას და იმ წუთში მოიყვანს ახალ გუნდს პროდასავლელებს. რა თქმა უნდა, ეს იქნება იმის ნიშანი, რომ რიტორიკა შეიცვლება. თუ ომის ბედი კვლავ გაურკვეველი იქნება, მაშინ იგივე რეალობაში დავრჩებით. ოპოზიციურ ფლანგზე რაიმე სიახლე ნაკლებად არის მოსალოდნელი.

# „რაც სააკაშვილი დააპატიმრეს, ნაცმოძრაობაში სხვებმა აიწყვიტეს“

## გიგა ბუკია: „უკრაინას თანავუგრძნობთ, უკრაინელ ხალხს ომში მხარს ვუჭერთ, მაგრამ 24 თებერვლის აქციას ფიზიკურად არ ვუერთდებით“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.

***– 24 თებერვალს, უკრაინის ომის წლისთავზე, უკრაინისადმი სოლიდარობის აქცია თბილისშიც იმართება. თქვენ, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები თუ იღებთ მასში მონაწილეობას?***

– უკრაინას ყველანაირად თანავუგრძნობთ, უკრაინელ ხალხს ამ ომში მხარს ვუჭერთ, მაგრამ 24 თებერვლის აქციას ფიზიკურად არ ვუერთდებით. იქ პოლიტიკოსებიც იქნებიან და ისინი ეცდებიან ამ თემის და შეკრების გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის. არ გვსურს ამის მონაწილე გავხდეთ. ამიტომაც აქციაზე არ მივალთ. ისე, უკრაინას სოლიდარობას ვუცხადებთ.

***– რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ თუ შეიცვალა რამე საქართველოს საშინაო პოლიტიკაში? ეს როგორმე აისახა პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე?***

– პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ჩვენ აღმოვჩნდით დიდი რისკის წინაშე. საბედნიეროდ, ომში ჩართული არ ვართ. ამ ეტაპზე ასეა, თუმცა საფრთხე არსებობს. საერთოდ, როცა ქვეყნის წინაშე დიდი გამოწვევაა, პოლიტიკური სპექტრი, საზოგადოება ერთ მუშტად უნდა შეიკრას, ერთ პოზიციაზე უნდა დადგეს. 2008 წლის რუსეთის აგრესიის დროს ჩვენ, მაშინდელი ოპოზიციონერები, ასე მოვიქეცით და ყველაზე წინ დავაყენეთ ქვეყნის ინტერესი. დღეს ამის ნიშანწყალიც არ იგრძნობა. პოლიტიკოსები კინკლაობენ და ხმაურობენ ისეთ საკითხებზე, რომელიც ხალხს სულ არ აინტერესებს.

***– ეს ომამდეც ტრადიციული იყო.***

– მეც იმას ვამბობ, რომ ფაქტობრივად, საშინაო პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. ჩვენში ასეა: ადამიანს ან ჯგუფს თუ რამე ემართება, სხვები გვერდში უდგებიან. ასეთ შემთხვევებში ადამიანები ერთიანდებიან. საქართველოში აქტიური პოლიტიკოსების უმრავლესობა დაკავებულია არააქტუალური საკითხების წამოწევითა და ერთმანეთთან საქმის გარჩევებით. ამას ქვეყნისთვის სიკეთე არ მოაქვს. ამ მხრივ სასიკეთო ძვრების მოლოდინი არც მაქვს. არადა, ისეთი ვითარებაა მსოფლიოში, ქვეყნის გაძლიერებაზე ერთად უნდა ვზრუნავდეთ.



***– ნაცმოძრაობაში ახალი თავმჯდომარის არჩევით თუ შეიცვალა რამე? მმართველი პარტიის თავმჯდომარის ინფორმაციით, ნამდვილ, არაოფიციალურ მმართველებს – მერაბიშვილსა და კეზერაშვილს – შორის უკვე ბზარი გაჩნდა.***

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წლების განმავლობაში აგებული იყო ერთ ლიდერზე, მიხეილ სააკაშვილზე. თავისი ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე, სააკაშვილი პარტიაში ლიდერებს არ აჭაჭანებდა. მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დააპატიმრეს, სხვებმა თავი აიწყვიტეს. კერძოდ, პარტიის კონტროლი, პარტიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომეს მეორეხარისხოვანმა და მესამეხარისხოვანმა პოლიტიკოსებმა. ისინი ტორტს ინაწილებენ, თავისკენ ექაჩებიან და თითოეული მათგანი დიდი ნაჭრის „დათრევას“ ცდილობს. მათ არც პოლიტიკური საქმიანობა აინტერესებთ და არც ხალხის პრობლემები.

***– გიორგი გახარიას ბოლოდროინდელი მწვავე განცხადებების შემდეგ ექსპერტებში გაჩნდა მოსაზრება, რომ გახარიას ოპოზიციურ ფლანგზე ლიდერობა უნდა. თქვენ რას იტყვით ამაზე?***

– ოპოზიციის ფლანგი მოსუფთავებულია. მოსახლეობაში, რომლის უმრავლესობა არ არის არც „ქართული ოცნების“ და არც ნაცმოძრაობის მომხრე, არსებობს მკაფიო მოთხოვნილება სხვა, ე. წ. მესამე ძალაზე. ხელისუფლება ებრძვის და ტალახს ესვრის ყველას, ვინც ოდნავ მაინც პერსპექტიულია. ექნება თუ არა გახარიას წარმატება, ამას დავინახავთ. ერთი აქსიომა კი ცხადია, ხელისუფლება თავის შეფასებებში მოზომილი, სოლიდური და სერიოზული უნდა იყოს.

***– ხელისუფლება ზღვარს გადადის?***

– რასაკვირველია. ზღვარს გადადის ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც მისთვის არასასურველია. ეს თვითონვე ცუდად უბრუნდება, იმიტომ, რომ მოსახლეობას უმძაფრდება ნეგატიური განწყობა იმათ მიმართ, ვინც ხელისუფლებისთვის შეუფერებლად იქცევა. ხელისუფლების წარმომადგენელმა უნდა გააკეთოს სერიოზული, მოზომილი განცხადებები, მისი მხრიდან ქილიკი და შეურაცხყოფა მძიმე მოსასმენია.

***– რეზონანსულია უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტი. თქვენი მოსაზრება?***

– ითვლება, რომ ის, მათ შორის, ეხება უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ზოგადად, მესამე სექტორის საქმიანობა საჭიროა. ის ხელს უნდა უწყობდეს დემოკრატიას. სამწუხაროა, რომ საქართველოში ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ თავისი მუშაობა არასწორად წარმართა და სახელი გაიფუჭა. მესამე სექტორი უნდა იყოს სამართლიანი და ობიექტური. ამის მაგივრად, ბევრი ორგანიზაცია გადაიქცა მხარედ. ეს გამოჩნდა უამრავი საკითხის განხილვისას საარჩევნო კანონმდებლობით დაწყებული, მართლმსაჯულებით დამთავრებული.

რამდენიმე თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვიდნენ და მოითხოვეს მთავრობის გადადგომა და რაღაც დროებითი მთავრობის შექმნა. ამ ორგანიზაციებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ სცილდებიან თავიანთ ფუნქციებს და იჭრებიან სხვა სფეროებში. არა ერთი „ენჯეო“, ისევე, როგორც ტელევიზია, პირდაპირ მიბმულია ამა თუ იმ პარტიაზე. ამრიგად, აქტიურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა თვითონვე დააკნინეს თავიანთი საქმიანობა.

ზოგიერთ მათგანს სათავეში ჩაუდგნენ პოლიტიკოსები. ამ სიტუაციაში ცუდი კანონიც რომ მიიღოს პარლამენტმა, არასამთავრობო ორგანიზაციების დასაცავად მოსახლეობა არ გამოვა. ხელისუფლება ამ სიტუაციას სათავისოდ გამოიყენებს. მას სჩვევია იარლიყების მიწებება პოლიტიკოსებისათვის. „ოცნება“ იარლიყებს მესამე სექტორსაც მიაკერებს. ისეთი სიტუაციაა, რომ მესამე სექტორმაც დააშავა და „ქართული ოცნებაც“ ისარგებლებს ამ მომენტით. საზოგადოებას უნდობლობა გაუღრმავდა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე პარტიის მიმართ. მათ თავი გამოიჩინეს ფუნქციების აღრევით, არათანმიმდევრულობით. „შევალთ – არ შევალთ პარლამენტში“ ძახილით ხალხის მხარდაჭერა უფრო დაკარგეს. უნდობლობა გამოიწვია ბევრი ფაქტორისა და უამრავი შეცდომის ერთობლიობამ. პოლიტიკოსებს უკვირთ, რომ აქციებზე ხალხი ვერ გამოჰყავთ. არადა, აქამდე საქმე თვითონ მიიყვანეს.

***– პატიმრობაში მყოფ ექსპრეზიდენტზე რას იტყვით? თქვენი აზრით, რა ბედი ელის?***

– ძალიან გული მტკივა იმაზე, რასაც ვხედავ. თავის დროზე ჩვენ ავირჩიეთ პრეზიდენტი, რომელიც დღეს ყველაფერს აკეთებს სასჯელისგან თავის დასაძვრენად. დაბეჩავებული ექსპრეზიდენტის ყურება რთულია.

# მუსლიმი თემი მამუკა მდინარაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

მუსლიმი თემი მამუკა მდინარაძის წინააღმდეგ – „ქართული ოცნების“ ლიდერს მუსლიმები შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ და ბოდიშის მოხდას ითხოვენ.

მუსლიმთა სამმართველოს მუფტის ყოფილი მოადგილე თემურ გიორგაძე ამბობს, როდესაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ამოქმედდება, პრაქტიკაშიც ძალიან დიდ ზიანს მოუტანს მუსლიმებს.

ვიტყოდი, ალბათ სიბრიყვეა და უვიცობაა-თქო, მაგრამ არ არის ეგ უვიცობა. „ოცნებას“ სჩვევია ხოლმე, რომ რაღაცებს ვითომ უვიცობაში გაატარებს. ზუსტად ვიცი, რომ არა როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფა, ამით არ დასრულდება მუსლიმების მიმართ. კანონს როდესაც აამოქმედებენ, პრაქტიკაშიც ძალიან დიდ ზიანს მოუტანს ეგ მუსლიმებს. მე მიმუშავია მუსლიმთა სამმართველოში და მინახავს, შიგნითაც როგორ აქვთ ხოლმე ერთმანეთის მიმართ მიდგომები. არასოდეს დამავიწყდება, მახსოვს, საბჭოთა გადმონაშთი, გია ვოლსკი, როდესაც ერთ შეხვედრაზე მოვიდა, სხვა ყველა რელიგიის და აღმსარებლობის ადამიანებს ჩაგვიარა, არც სალამი, არც გამარჯობა, არაფერი არავისთვის არ უთქვამს, მივიდა და საპატრიარქოს წარმომადგენლებს, კაბაზე ემთხვია, – ამბობს თემურ გიორგაძე.

ნაგავი უწოდა მალხაზ მაჩალიკაშვილმა მამუკა მდინარაძეს გაკეთებული განცხადების შემდეგ და თქვა, რომ ასეთ განცხადებას „ოცნების“ ლიდერს ვერ „გაუტარებენ“.

წინააღმდეგი ვიქნები, რომ ქრისტიანებზეც იძახდნენ ასეთ უმსგავსობას, მით უმეტეს,



ისლამზე. ჩემთვის რელიგია, რელიგიაა. ეს არის შურის და ზიზღის გაღვივება, ეს არის რაღაც უბედურება, ეს დაუშვებელია. ასეთი ადამიანები მთავრობაში არ უნდა იყვნენ. ეს ნაგავი მართლა არ უნდა იყოს მთავრობაში. მე ასობით ადამიანი დამიკავშირდა, რომლებიც საღად აზროვნებენ და ამ ქვეყნის პატრიოტები არიან. ისინი ამბობენ, რომ ასეთ განცხადებას მას ვერ გაუტარებენ და ბოდიშს ითხოვენ. მან ბოდიში უნდა მოიხადოს საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მაცხოვრებელი მუსლიმი ხალხის წინაშე. თუ არ მოიხდის, ჩვენ შევძლებთ მას მოვახდევინოთ ბოდიში, – ამბობს მალხაზ მაჩალიკაშვილი.

მამუკა მდინარაძემ წითელი ხაზი მაშინ გადაკვეთა, როცა მათ რელიგიური კონფესიების მრწამს შეეხო.

მდინარაძემ მუსლიმები საეჭვო დაფინანსების მიღებაში დაადანაშაულა და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები ლამის ქვეყნისთვის საშიშებად გამოაცხადა.

# კახი კახიშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილი პრინციპული ლიდერია, რომელმაც ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა შექმნა“

— პრინციპული, საუკეთესო ადამიანებთან ურთიერთობაში და ლიდერი, რომელმაც არაპოპულარული ნაბიჯებით ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა შექმნა, — ასეთი ეპითეტებით ახასიათებს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კახი კახიშვილი.
კახიშვილი, რომელიც 2012 წლის შემდეგ რამდენიმე სხვადასხვა უწყების მაღალჩინოსანი იყო, ამბობს, რომ იშვიათია ირაკლი ღარიბაშვილის მსგავსი პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც ყველაზე უკიდურეს სიტუაციაში შეძლო ქვეყანა ამოეყვანა კრიზისიდან და დღეს რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა.

***— ბატონო კახი, 2 წელი გავიდა, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი მეორედ ჩაიბარა. თქვენ, როგორც მმართველი გუნდის წევრი, როგორ შეაფასებთ მის ორწლიან საქმიანობას? თუმცა, მანამდე მინდა გაიხსენოთ, როგორი იყო საქართველო 2 წლის წინ და რა გვაქვს დღეს.***

— ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად წარდგენის პერიოდში, საქართველოში იყო ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია. იყო კოვიდპანდემია, ამას ემატებოდა მსოფლიო კრიზისი. ჩვენთან ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 10 პროცენტს. თვით ეკონომისტებიც ვერ ხსნიდნენ, როგორ შეიძლებოდა ქვეყანას გადაეტანა ეს კრიზისი, საგარეო ვალს თუ არ აიღებდნენ. სწორედ ამ პირობებში, ყველაზე რთულ ვითარებაში გადადგა საქართველოს პრემიერი. ქვეყანაში, ერთი მხრივ, იყო ბოიკოტი და მასობრივი მიტინგები, დაუმორჩილებლობის აშკარა გამოხატვა სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ. ერთიანად იყო კატასტროფული სურათი იმ კუთხით, რომ ქვეყანაში იყო ფინანსური კრიზისი. პანდემია. ქვეყანა ჩაკეტილია. საწარმოები დახურულია. ფაქტობრივად, ადამიანებს არ ჰქონდათ შემოსავლის წყარო და ამავდროულად ჰქონდათ კრედიტები, ვალდებულებები. მმართველ პარტიაში იყო პრემიერის გადადგომისგან გამოწვეული შოკი და ამ ვითარებაში საჭირო იყო ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც არა ხელოვნურ, არამედ ნამდვილ ლიდერად აღიქმებოდა და მმართველმა პარტიამ მაშინ ეს არჩევანი გააკეთა და წარადგინა პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი.

***— რატომ მაინცდამაინც ირაკლი ღარიბაშვილი?***

— იმიტომ, რომ, როცა ბუნებრივი ლიდერი მოდის, გუნდი იკვრება ამ ადამიანის გარშემო. საკმაოდ პრაგმატული არჩევანი გაკეთდა იმ პერიოდში, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინეს პრემიერმინისტრობის კანდიდატად. მან პირველ რიგში მოახერხა და შეკრა გუნდი. მას პარტიის ხელმძღვანელობასთან ჰქონდა ძალიან მეგობრული ურთიერთობა და ამან გუნდში შექმნა ერთიანობის განცდა მმართველ პარტიაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. როცა დაწყებულია რღვევის პროცესი და თან ხელისუფლებაში ხარ მერვე წელია, ამ რღვევის პროცესის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ ქმედითი ნაბიჯებით, არა ხელოვნურით, არამედ ბუნებრივი ნაბიჯით. ასეთი ბუნებრივი ნაბიჯი იყო იმ ადამიანის წარდგენა, ვის მიმართაც გუნდის უმეტესობას პატივისცემა გააჩნია. თქვენ ნახეთ, რომ ძალიან მოკლე პერიოდში დახურული ქვეყნიდან ძალიან მალე გაიხსნა საზღვრები, მიუხედავად კრიტიკისა.

გახსოვთ ალბათ, როგორი კრიტიკა იყო პრემიერის მიმართ, რომ არ შეიძლება საწარმოების, საზღვრების გახსნა და ა.შ. თქვენ ნახეთ, რომ ბიზნესს მიეცა შესაძლებლობა, აღედგინა ის სტრუქტურა, რა სტრუქტურაც ჰქონდა პანდემიამდე. ბიუჯეტის დეფიციტი გადაიზარდა ბიუჯეტის შესრულებასა და ეკონომიკურ ზრდაში. მმართველი პარტია შეიკრა და ის რყევების ნიშნები, რომელიც შეინიშნებოდა, ფაქტობრივად გაქრა. თქვენ ხედავთ, რომ ბოლო ორი წელია ქვეყანა მიდის განვითარებით, ეკონომიკის ზრდისკენ. ეს არ არის ღარიბაშვილის ციფრები, ეს არ არის ფინანსთა მინისტრის ციფრები, ეს არ არის სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ციფრები, ეს არის ციფრები, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება არამხოლოდ აღიარებს, აქვეყნებს კიდეც. ბუნებრივია, ასეთი დიდი წარმატება იმ რეგიონში, რომელიც სახიფათო რეგიონად ითვლება დღეს, არის უდიდესი საქმე და მე ვფიქრობ, რომ ეს არის ირაკლის ურთიერთობის ნიჭი, რომელიც გააჩნია კოლეგებთან და ამან, რა თქმა უნდა, დიდწილად იმოქმედა იმ შედეგებზე, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ.

***— თქვენ საუბრობთ პრემიერის წარმატებულ სვლაზე, მაგრამ პარალელურად ვხედავთ და ვისმენთ კრიტიკას... ისმის ბრალდებები, უხეშად რომ ვთქვათ, საქართველოს მთავრობა უფრთხილდება რუსეთს.***

— ირაკლი ღარიბაშვილმა, პირველ რიგში, უკვე დაამახსოვრა ხალხს თავი ისე, რომ ის არ არის პრემიერი, რომელიც შაბლონურ განცხადებებს აკეთებს ვიღაცის გულის მოსაგებად, ან იმისთვის, რომ ხვალ ან ზეგ მომავალი მოძებნოს, თუნდაც საზღვარგარეთ ან ლექციების წაკითხვისთვის. ეს არის ადამიანი, რომელიც ფიქ-



რობს, რა არის ქვეყნისთვის კარგი და ჩვენ ვხედავთ ამ შედეგს.

ფაქტობრივად, უცხოელი პოლიტიკოსების ნაწილის დიდი წნეხის, ომში ჩართული ჩვენი მეგობარი ქვეყნის თანამდებობის პირების მოწოდების, შუღლის გაღვივების და დარტყმების მიუხედავად (ეს ზეწოლა და დარტყმები გრძელდება დღემდე), პრემიერმა შეძლო და თავის ქვეყანაში უზრუნველყო მშვიდობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პატარა საქართველო ვერ გაუძლებს ვერანაირ კონფლიქტს. ეს კონფლიქტები და ომი გვქონდა, სამწუხაროდ და დღემდე გვეტყობა ამის კვალი. ამიტომ ყალბ აპლოდისმენტებს მან არჩია პრაგმატული, ქვეყნისთვის საჭირო და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გზა, თუნდაც არაპოპულარული საერთაშორისო საზოგადოების ნაწილში. ამას სჭირდება გამბედაობა, მით უმეტეს, როცა ხარ ასეთი პატარა ქვეყნის მეთაური. ეს არ არის მარტივი გზა — იქ, სადაც მიჩვეულები არიან, რომ შენ უნდა იყო რევერანსებით განწყობილი და ექოსავით იმეორებდე იმას, რაც არის ყველგან. საერთაშორისო ასპარეზზე ვერ გაიგეს რაშია საქმე, ვგულისხმობ იმ ევროპარლამენტარების ნაწილს, რომელიც დღეს კრიტიკით არიან დაკავებული. მათი კრიტიკა გადავიდა აგრესიაში და ამიტომ არის აგრესიული განცხადებები სხვადასხვა თანამდებობის პირებისგან. ისინი არ მოელოდნენ იმ ფაქტს, რომ წლების მანძილზე, რევერანსის პოზაში მყოფი საქართველოს ხელისუფლება, რაღაცაზე იტყოდა, რომ — არა. მე ვიცი, რა ჯობია ჩემი ქვეყნისთვის, მე ასე გადავწყვიტე და ასე გავაკეთე. სწორედ, ეს მოახერხა ირაკლი ღარიბაშვილმა მისი ხალხის და გუნდის მხარდაჭერით. ყველა რომ თავის მხარეს გაქაჩულიყო, ამ შედეგს ვერ მიაღწევდა. მაგრამ ირაკლის ძალიან დიდი ნიჭი აქვს ადამიანებთან ურთიერთობის, რაც ბევრ თანამდებობის პირს არ აქვს და ამ ნიჭმა მისცა შესაძლებლობა, შეეკრა გუნდი ისე, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ყოფილიყო ერთ პოზიციაზე.

***— პრემიერის არჩევანი — შეინარჩუნოს ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა, არ ჩაერიოს პირდაპირ იარაღიან ომში, უკრაინის მაღალჩინოსნებში აგრესიას იწვევს და თითქოს ისმის კიდეც მუქარა, რომ „მოგვხედავენ...“***

— 2008 წელს და არც 90-იან წლებში არ მახსოვს არც უკრაინის და არც სხვა ქვეყნის მხარდაჭერა. უკრაინაშიც მშვიდად აგრძელებდნენ ცხოვრებას, მუშაობას, ბიზნესს, მშვიდად აგრძელებდნენ სავაჭრო ურთიერთობას და მიმოსვლას ერთმანეთში. დღეს ასეთი მოთხოვნა საიდან გაუჩნდათ?! რაც არ დაგითესია, იმას რატომ ელოდები, რომ მოიმკი. რა თქმა უნდა, უკრაინა ჩვენი სახელმწიფოს პარტნიორი იყო წლების მანძილზე. ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, მაგრამ მეგობრობა ცალმხრივად არ ხდება. ოლიმპიური თამაშიც არ არსებობს ცალკარა. ეს მოლოდინი საიდან გაჩნდა? მოლოდინი შეიძლება გქონდეს, მაგრამ უარის შემთხვევაში გაღიზიანდე, ეს ჩემთვის გაუგებარია. შენ რომ ვიღაცას რაღაცას სთხოვ, მაშინ წინასწარ უნდა შეუთანხმო საკითხები: აი, მე ამას ვაპირებ, დამიდგები გვერდში თუ არა. რა თქმა უნდა, თუ მიიღებ მხარდაჭერას და მერე ის არ გექნება — გეწყინება. მაგრამ როცა არავის რაფერს არ უთანხმებ. შეხვედრა არ ყოფილა და მხოლოდ სატელევიზიო ეთერებით ელაპარაკები შენს კოლეგას და 2012 წლიდან ყველა ხელისუფალი იგნორის რეჟიმში ჰყავთ, ცოტა მოულოდნელია მოთხოვნები და გაღიზიანება.

მე არ ვსაუბრობ ვინმეს დანაშაულის საფუძვლიანობაზე, მაგრამ ელემენტარული საკითხია, როცა ქვეყანას ეძახი მეგობარს და იმ ადამიანებს, ვისთანაც კითხვები აქვს ამ ქვეყანას, თანამდებობებზე აწინაურებ და დემონსტრაციულად ახდენ აფიშირებას, არ გაინტერესებს რას ფიქრობს შენი მეგობარი ქვეყანა ამაზე, რატომ გაქვს მოლოდინი, რომ რევერანსის პოზაში იქნება ამ სახელმწიფოს მეთაური. ამიტომ ვფიქრობ, რომ გაკვირვებულები არიან, რადგან საქართველოს ხელისუფლების არც ერთ ლიდერს ასე აშკარად არ გამოუხატავს საკუთარი პოზიცია. ჩვენ ყოველთვის ვიყავით დაკავებული რევერანსებით და „მოვფრინავ ბატონოთი“.

თუნდაც დავუშვათ ის ფაქტი, რომ შენ ვიღაცის მიმართ ძებნა გამოაცხადე და მე მეგობარი ვარ შენი. სანამ იმ ადამიანს მოქალაქეობას მისცემ, სანამ დემონსტრაციულად უმაღლეს თანამდებობებზე დანიშნავ, თუ პატივისცემა გაქვს ჩემი და ჩემი ქვეყნის, როცა კომუნიკაციის წყარო შენი კოლეგაა, ხომ შეიძლება იკითხო, რა ხდება. რატომ არის ძებნილი? საფუძვლიანია, არასაფუძვლიანია? ახლა ეს ჟესტები ცოტა უხერხულია. პირველი დემონსტრაციული ჟესტი გახ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში ანტირუსული განწყობაა“

## ჯემალ გამახარია: „ლუკაშენკოს აფხაზეთის აღიარება არ უნდა. ჩვენი დაუფიქრებელი, ზღვარგადასული განცხადებებით, არ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ბელორუსიამ აფხაზეთი აღიაროს“



„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.

გულიკო ბალაძე

***— ბატონო ჯემალ, უკრაინაში ომის ერთი წლის თავზე, რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებიც მოვისმინეთ და ამ ფონზე ბჟანიაც ლუკაშენკოს შეხვდა. რის მიღწევას ცდილობს რუსეთი ასეთი შეხვედრების ორგანიზებით? რატომღაც მგონია, რუსეთის ზეწოლა რომ არა, ლუკაშენკო ბჟანიას არ შეხვდებოდა და არც გასულ წელს აფხაზეთში ჩავიდოდა.***

— ცხადია, ლუკაშენკო ამას თავისის სურვილით არ აკეთებს. ეს კრემლიდან ზეწოლის შედეგია. ამ შეხვედრებს რა მიზანი აქვს, ამაზე ძალიან ბევრს ვფიქრობთ. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთმა აფხაზეთის მიმართ ანექსიონისტური პოლიტიკა გააააქტიურა.

***— ანექსიონისტური პოლიტიკის გააქტიურება რაში გამოიხატება?***

— ანექსიონისტური პოლიტიკის გააქტიურება გამოიხატება უამრავ ე.წ. შეთანხმებაში, რაც რუსეთმა აფხაზეთს თავს მოახვია. საბოლოო ჯამში, იმ შეთანხმებების აღსრულება, აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში მოქცევას მოასწავებს.

ეს მცოცავი ანექსიის პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის ფონზე, რუსეთი აფხაზებს სულ უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

***— ნაკლებ ყურადღების მიქცევაში რას გულისხმობთ?***

— რუსეთი აფხაზეთს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ეკონომიკური თვალსაზრისით, ნაკლებად აფინანსებს. ისე უხვად, უკონტროლოდ არ აძლევს ფულს, როგორც ადრე აძლევდა. ეს ყველაფერი ერთად აღებული, აფხაზეთში უკმაყოფილებას იწვევს. აფხაზეთში მოსახლეობის ძალიან დიდ და მნიშვნელოვან ნაწილში, ანტირუსული განწყობა სუფევს.

ამიტომ რუსეთი ცდილობს, მსგავსი შეხვედრებით აფხაზებს ილუზია შეუქმნას, რომ ის აფხაზებზე ზრუნვას აგრძელებს და, დღეს თუ არა ხვალ, ბელორუსი აფხაზეთს „აღიარებს“.

***— თუმცა, ლუკაშენკომ თქვა, არ მესმის, რატომ მოჰყვება ხოლმე რეაქციები ჩვენს შეხვედრებს. ჩვენ საქართველოს წინააღმდეგ ცუდს ხომ არაფერს ვგეგმავთო.***

— ეგ ლუკაშენკომ შეხვედრის დროს თქვა, როცა ბჟანია წინ დაისვა. თვითონ ლუკაშენკო მაგიდის თავში იჯდა, ბჟანია და არძინბა (რომელიც თან ახლდა) წინ დაისვა, როგორც ქვეშევრდომებს, რეგიონის ხელმძღვანელებს სვამენ. სულ ლუკაშენკო საუბრობდა საქართველოსთან მეგობრობაზე, საქართველოსთან ურთიერთობაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი შეხვედრები დასაგმობია. თქვენ ხედავთ, რომ საქართველოს მთავრობა, პრეზიდენტი, პარლამენტი მსგავს შეხვედრებს გმობენ.

ამასთან ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ყველაფრის გაანალიზების შემდეგ, ჩვენ ასეთ დასკვნას ვაკეთებთ (დარწმუნებული ვართ, ჩვენი დასკვნა სწორია): ლუკაშენკოს აფხაზეთის აღიარება არ უნდა. ჩვენ, ჩვენი დაუფიქრებელი მოქმედებებით, ზღვარგადასული განცხადებებით, არ უნდა შევუწყოთ ხელი, ლუკაშენკო არ უნდა ვაიძულოთ, რომ აფხაზეთი აღიაროს.

სხვანაირად ის აფხაზეთის აღიარებას არ აპირებს, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ, როდესაც ბიჭვინთაში ჩამოვიდა და როდესაც მან ვითომ სტუმრები მიიღო.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით, თვითონ აფხაზეთში ზოგი იცინის, ზოგი გაბრაზებულია, ეს რა შეხვედრა იყო. შეხვედრაზე აფხაზების არც დროშა ჩანდა, არც — არაფერი. უბრალოდ, ორი ბატონი — ბჟანია და არძინბა — იმყოფებოდა.

ისინი მოსკოვში მაღალ დონეზე არ მიიღეს და მინსკში გასასეირნებლად გაუშვეს. გაისეირნეს, ლუკაშენკოს შეხვდნენ და უკან წამოვიდნენ. რითიც წავიდნენ, იმით ჩამოვიდნენ. იქ არავითარი დოკუმენტი არ გაფორმებულა.

უბრალოდ, საუბრები იყო სავაჭრო-ეკონომიკურ-ტურისტულ ურთიერთობებზე და მორჩა.

***— მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენთვის სასაცილო მაინც არ არის.***

— მათი შეხვედრის ფორმა და შინაარსი აფხაზებისთვის სასაცილოა, მაგრამ ჩვენთვის სასაცილო არ არის, ძალიან ცუდი ფაქტია. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება და ჩვენ მას ყველა დონეზე ვგმობთ.

ბჟანიასა და ლუკაშენკოს შეხვედრა ჩვენც დავგმეთ. საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშად დარღვევად, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობად ჩავთვალეთ. ჩვენ ასეთ ქმედებებს ყოველთვის ვგმობდით, დღესაც ვგმობთ და მომავალშიც დავგმობთ.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, აქედან რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. როგორ უნდა შევუწყოთ ხელი, პროცესების იმ მიმართულებით განვითარებას, რომ ბელორუსმა აფხაზეთი არ აღიაროს.

ამ მიმართულებით ჩვენს დიპლომატიას ძალიან სერიოზული მუშაობა მართებს და მუშაობს კიდეც.

***— აფხაზეთში დამოკიდებულებები როგორ შეიცვლება, როდესაც რუსეთი საერთაშორისო დონეზე დომინანტი აღარ იქნება და ჰეგემონობას დაკარგავს? ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ სმირი აცხადებდა, რომ აფხაზეთი ყველაზე პრორუსული ადგილია მსოფლიოში, სადაც რუსების 9% ცხოვრობს, მაგრამ ყველა რუსულად საუბრობს, საქმის წარმოებაც რუსულადაა, ე.წ. პარლამენტიც რუსულად მუშაობსო.***

— რუსულად საუბარი და რუსულად საქმის წარმოება, სამწუხაროდ, მათ ნაკლებად აწუხებთ. სამწუხაროდ, რუსული მათთვის მშობლიურ ენასავით გახდა.

მეორეა, მართლაც, რა ურთიერთობა და დამოკიდებულება იქნება, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, როდესაც რუსეთი, დიდი ალბათობით, იმ ომში დამარცხდება, რომელიც თვითონ უკრაინისა და მსოფლიოს წინააღმდეგ წამოიწყო. მინდა, რუსეთი უკრაინასთან ომში აუცილებლად დამარცხდეს.

ამის შემდეგ რა იქნება და როგორ იქნება, რასაკვირველია, ძალიან სერიოზული პრობლემაა. ამაზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ და ფიქრობენ კიდეც. ამაზე ბევრს ფიქრობენ და ბჭობენ ენგურს გაღმაც.

***— ენგურს გაღმა აფხაზეთში ფიქრობენ და ბჭობენ, რა იქნება რუსეთის დამარცხების შემდეგ?***

— დიახ, ამაზე ძალიან ბევრს ფიქრობენ. აფხაზეთში ყველა დარწმუნებული არ არის, რომ რუსეთი გაიმარჯვებს. ოფიციალურად კი, ყვი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პრემიერის ორი წელი — მძიმე მემკვიდრეობა, ისტორიული პროექტები, რეგიონული უსაფრთხოება და საქართველო „გლობალური კარიბჭის“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი

**2021 წელი. თებერვალი. კოვიდპანდემია. გაჩერებული ეკონომიკა, ოპოზიციის პროტესტი და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა — ასეთი იყო ვითარება საქართველოში ორი წლის წინ, რომელიც ქვეყანაში სახელისუფლებო კრიზისის შექმნის წინაპირობას აჩენდა... სწორედ ამ დროს, მმართველმა გუნდმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინა, რომელსაც პრემიერობის წინა ვადაში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ისტორიული ხელმოწერა უკვე დატოვებული ჰქონდა.**

**ირაკლი ღარიბაშვილი თავიდან იღებს ხელისუფლების მართვის სადავეებს მაშინ, როცა რადიკალური ოპოზიცია საპარლამენტო საქმიანობას ბოიკოტს უცხადებს, ეკონომიკა ჩამონგრეულია და ქვეყანა, სადაც კოვიდპანდემია მძვინვარებს, ვაქცინის გარეშეა...**

**პრემიერ-მინისტრი მყისიერი რეაგირებით იწყებს სიტუაციის დასტაბილურებას... პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურებაში ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ერთვება...**

**პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის პარალელურად, კოვიდპანდემიით შეშინებული მოქალაქეებისთვის იმედის სხივი ჩნდება და უკვე მარტში, საქართველოში კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინა შემოდის.**

**უპირობოდ ვთანხმდებით ყველა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში, რეკორდული ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, რაც პირდაპირ ნიშნავს მოქალაქეების საკეთილდღეოდ უფრო ეფექტურ სოციალურ პროგრამებს, ინფრასტრუქტურულ თუ რეგიონული განვითარების მასშტაბურ პროექტებს.**

**ახლა პრემიერ-მინისტრისთვის მთავარ ამოცანად რჩება რეგიონში სამშვიდობო პოლიტიკა.**

**რამდენად ეფექტიანია ირაკლი ღარიბაშვილის მმართველობის პოლიტიკა, როგორ დასძლია პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები, რომელიც მთავრობის მეთაურის პოსტზე დამტკიცებისას დახვდა — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებს ექსპერტ ამირან სალუქვაძესთან ერთად შევაფასებთ:**



ამირან სალუქვაძე ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის ორ წელს საუკეთესო საქმიანობად აფასებს და ამბობს, რომ ერთადერთი პრემიერია საქართველოს ისტორიაში, რომელიც მთავრობის სხდომას ახალი იდეებით და პროექტებით იწყებს და ერთხელ ნათქვამს 5-ჯერ არ იმეორებს.

— ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერად დანიშვნის დღიდან შეძლო აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ. მან უმოკლეს დროში შეძლო სიტუაციის კონტროლი, რაშიც ყოველთვის ხელს უშლის ოპოზიცია. რაც არის სავალალო. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო საერთაშორისო მეგობრების და პარტნიორების ჩარევა.

პრემიერმა ყველაზე მაღალი რანგის წარმომადგენელთან ერთად დაიწყო მუშაობა ოპოზიციასთან მოლაპარაკებებში. ეს არის ძალიან დიდი კულტურა, რაც ჩვენს ოპოზიციას არ გააჩნია.

რაც შეეხება საწყის პერიოდს, როცა პრემიერმა ქვეყანაში შექმნილი კრიზის მოგვარება დაიწყო, შარლ მიშელის ჩართულობა უკვე შეიძლება განხილული იყოს, როგორც საერთაშორისო აქტივობა და შიდა პოლიტიკური საკითხების დალაგება, რაც წარმატებით შეძლო და ქვეყანამ გააგრძელა ფუნქციონირება ისე, როგორც ამას მოითხოვდა საზოგადოება.

მისი თქმით, ყველაზე მეტად სასიამოვნო იყო, რომ პრემიერმა მოახერხა და რეგიონში საქართველოს მისი ადგილი დაუბრუნა.

— პრემიერმა ღარიბაშვილმა ფაქტობრივად გარდატეხა შეიტანა სამეზობლო პოლიტიკაში. საქართველომ დაიწყო თავისი ფუნქციის დაბრუნება. რაც აღნიშნა პრეზიდენტმა ალიევმა თბილისში ვიზიტის დროს, საქართველო იყო ყოველთვის ცენტრი, როგორც გეოგრაფიული განლაგებით, ასევე პოლიტიკით, რომელიც აერთიანებდა სამ სახელმწიფოს. მნიშვნელოვანია, რომ 30-წლიან ისტორიაში საქართველო ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს მშვიდობის აღდგენის პროცესში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. ჩვენ ვნახეთ კონკრეტული შედეგიც. საქართველოს ფასილიტაციით, აზერბაიჯანმა მიილო ნაღმების რუკები, ხოლო სომხეთს გადასცა სამხედრო ტყვეები...

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პრემიერის ვიზიტი თურქეთში, ასეთი მაღალი დონის ვიზიტი არ ჰქონია არავის.

ამ ვიზიტის შემდეგ ვხედავთ, როგორი ურთიერთობა გვაქვს ნატოს წევრ დიდ მეგობარ ქვეყანასთან.

უამრავი ვიზიტის ჩამოთვლა შემიძლია, რომელიც საკმაოდ აქტიური და წარმატებულია, როგორც ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში.

სამხედრო ექსპერტი დადებითად აფასებს პრემიერის ძალისხმევას, რომ საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნას. თუმცა, მისივე თქმით, აქაც სავალალო მდგომარეობაა, რადგან ოპოზიცია საკუთარ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ქვეყნის და ხალხის.

— 25 თებერვალს იყოს პრემიერის პირველი განცხადება ომში ჩართვასთან დაკავშირებით. ეს განცხადება შემთხვევით არ გაკეთებულა. მე მეტი ინფორმაცია მაქვს ჩემი პირადი კონტაქტებიდან გამომდინარე და ძალიან კარგად ვიცი, რა მოვლენები შეიძლებოდა განვითარებულიყო ქვეყანაში და რა საშიშ მდგომარეობაში იყო საქართველო. ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა ორკესტრირებული შეტევით და წარმოაჩინა ისე, რომ თითქოს საქართველო არ არის უკრაინის მხარეს. აქაც თმენის მაღალი კულტურა აჩვენა პრემიერმა და მმართველმა გუნდმა. ჩვენ ვხედავთ პრემიერის ძალისხმევას, რომ იყოს უკრაინელი ხალხის გვერდით. პრემიერის ინიციატივით გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარება. დღემდე რამდენი დევნილი უკრაინელი ცხოვრობს საქართველოში, რომელთაც აქვთ საქართველოს მთავრობის მხრიდან შეღავათები და დახმარება. ვისაც სურს ამის გაგება, გაიგებს, ვისაც არ სურს, არ გაიგებს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სწორად გაიგო.

ჩვენ გვესმის ის რეალობა, რაც შექმნა 2008 წლის ომმა დღემდე. ამ ყველაფერმა, მემკვიდრეობამ შექმნა ვითარება, რომ საქართველოში სამხედრო მოქმედებების გაჩაღება არის საშიში და სავალალო. რუსეთთან თავიდან ჩართვა აღარ იქნება იმ ინტენსივობის, რაც იყო 2008 წელს. რუსეთი თავზეხელაღებულია დღეს. ვხედავთ, რომ უკრაინას მიწასთან ასწორებს. საქართველო ტერიტორიულად ბევრად პატარაა და ომი საქართველოში როგორ წარმოუდგენიათ?!

ამიტომაა, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ ომი არ დაუშვას. ამაში საერთაშორისო პარტნიორები ჩვენ გვერდით უნდა იყვნენ. პრემიერი ამბობს, რომ „უკრაინას უსურვებს მშვიდობას, ომის დამთავრებას, სუვერენიტეტის აღდგენას“ — მეტი რა არის გამარჯვება.

ამირან სალუქვაძე აცხადებს, რომ იმ მასშტაბის მხარდაჭერა, რაც პრემიერის ინიციატივით გაკეთდა უკრაინელი ხალხის მიმართ, სამაგალითოა. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

— ერთი წელის გახდება მალე, რაც უკრაინიდან დევნილი მოქალაქეები საქართველოში ცხოვრობენ. სკოლებში გაიხსნა უკრაინული სექციები. მათ დაენიშნათ სპეციალური კომპენსაცია. თვეების მანძილზე ცხოვრობდნენ მთავრობის ხარჯებით. რაც შეეხება უკრაინელი დევნილებისთვის თანხის გამოყოფას, იქამდე გაგრძელდება, სანამ მშვიდობით არ დაბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში. რაც შეეხება ქვეყნის დახმარებას, ახლაც გრძელდება. ცოტა ხნის წინ გაიგზავნა ახალი დახმარება, მათ შორის მძლავრი გენერატორები, — აღნიშნა ამირან სალუქვაძემ.

პრემიერის საქმიანობის შეფასებისას, ამირან სალუქვაძეს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია მთავრობის სხდომები, სადაც ქვეყნის მეთაური ყოველკვირეულად მასშტაბურ პროექტებს, სოციალურ და პოლიტიკური წინსვლის საკითხებს განიხილავს.

— პირფერობა არ მჭირდება თანამდებობის პირებთან, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პირველი პრემიერია, რომელიც მთავრობის სხდომას ყოველთვის ახალი ინიციატივით, ახალი პროექტით, ახალი იდეებით იწყებს და არა ისე, როგორც ადრე, ერთ გაკეთებულ საქმეს, ხუთჯერ რომ თავიდან ხსნიდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ პრემიერი ზრუნავს ხალხზე. მიუხედავად მძიმე გეოპოლიტიკური ვითარებისა, ირაკლი ღარიბაშვილის მთელი რიგი მიმართულებები სწორედ საზოგადოების კეთილდღეობაზეა მიმართული. ეს იქნება მედიკამენტებზე ფასების შემცირება. სურსათის თუ საწვავის ფასების შემცირება. პრემიერმა უკვე გადადგა ნაბიჯები, რომელიც ახალი ეტაპია და ველოდები იგივე შედეგებს, როგორც ეს მოხდა მედიკამენტების ფასების შემცირებაზე.

არ შეიძლება არ აღვნიშნო სერიოზული ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა თავდაცვის ძალების გაძლიერების მიმართულებით. შენდება სამხედრო ქალაქი. გაიზარდა ხელფასები. ძლიერდება თავდაცვისუნარიანობა. პრემიერმა, ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს, დაიწყო რეფორმები, რომელიც დღემდე გრძელდება. თავდაცვის მიმართულება, გაზრდილი ხელფასები. იმედი მაქვს და მჯერა, ყველა წამოწყებული საქმე წარმატებით განხორციელდება და ამას საზოგადოება დაინახავს, — განაცხადა ამირან სალუქვაძემ.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „გახარია „ქართული ოცნების“ ყველა სცენარისთვის მზადაა!“

ფერია მოსალოდნელი. ჩვენ როდესაც პოლიტიკაში შემოვდიოდით, ზუსტად ვიცოდით, რომ ეს არ იქნებოდა წითელი ხალიჩა თეთრი ვარდებით მოფენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეგონა, აი ესენი ივანიშვილის პროექტები არიან და ყველაფერი კარგად ექნებათ, ჩვენ ხომ ზუსტად ვიცოდით, რაც იქნებოდა. ამიტომ ჩვენ ამისთვის მზად ვართ. როდესაც მე ვსაუბრობ ადამიანებისთვის სიმართლის მიწოდებაზე და სწორი ანალიზის გაზიარებაზე, ვგულისხმობ, არა კონსპირაციულ თეორიებს, რომ აი გამოვა და ყველაფერს ილაპარაკებს. ბატონი გახარია რასაც ჩათვლის საჭიროდ, ყველაფერზე ილაპარაკებს.

***— ალბათ ექნება კონტრარგუმენტები, რითაც „ოცნების“ ბრალდებებს გაანეიტრალებს?***

— ბატონ გახარიას არასოდეს არ ეშინოდა არც კონტრბრალდებების და არც იმ ბრალდებების, ფუჭის თუ ლეგიტიმურისა, რომელიც მის მიმართ არსებობდა. ბატონი გახარია არ გაექცა არც ერთ მწვავე კითხვას და სატელევიზიო ეთერს. ის ამისთვის ყოველთვის მზად არის. ქართველი საზოგადოება სწორედ რომ ელის ნორმალურ, მდგრად, გაწონასწორებულ და თანმიმდევრულ პოლიტიკოსს. შესაძლოა, სუბიექტური ვარ, მაგრამ სწორედ ასეთი პოლიტიკოსია გიორგი გახარია. ერთ-ერთი ყველაზე მყარია მისი პოლიტიკური ძალა ქართულ პოლიტიკურ ლანშაფტში.

***— როგორ გაარღვევთ ასეთ ჩაკეტილ პოლიტიკურ ველს?***

— ისინი შეიძლება ცდილობდნენ, რომ გასაქანი არ მოგვცენ. ამის მცდელობა უკვე იყო 2021 წელს. თუმცა მაინც გავარღვიეთ ის მოჯადოებული წრე. ახლაც გავარღვევთ, ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული.

***— „ოცნება“ ცდილობს, რომ გავრილოვის ღამის პასუხისმგებლობა მთლიანად გახარიას აჰკიდოს. არის მზად ამისთვის? სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი რომ დადგეს?***

— ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში შემოდის. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნება“ აბსოლუტურ სიგიჟეებს აკეთებს. აბსოლუტურად ნებისმიერი სცენარისთვის მზად ვართ.

***— ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული, რომ ცალკე აღებული რომელიმე პარტია მის დამარცხებას ვერ შეძლებს. ვისთან თანამშრომლობას აპირებთ? რომელ ოპოზიციურ ძალასთან?***

— ქართული პოლიტიკური სპექტრი იმდენად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია, რომ დღეს მე გამიჭირდება იმის პასუხი, ვისთან ვაპირებთ თანამშრომლობას. ერთი, ცალსახად რაც შემიძლია გითხრათ, ჩვენ ვერ ვითანამშრომლებთ, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის დღევანდელ მოცემულობასთან.

„ქართულ ოცნებას“ ინარჩუნებს სწორედ ის ელექტორალური სეგმენტი, რომელსაც ძალიან ეშინია ნაციონალების უკან მობრუნების. ეს პარტია, იდეოლოგიურად ისევ ძველ კალაპოტშია. ამ პარტიამ შეუნარჩუნა „ოცნებას“ 10 წლის განმავლობაში ძალაუფლება და დღესაც ამით იკვებება. დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა არის „ქართული ოცნების“ ჟანგბადი და წყალი. ასეთ მოცემულობასთან, ვერანაირად ვერ ვითანამშრომლებთ.

**„ბევრი ადამიანია, რომელიც ამ აქციაში უკრაინის კომპონენტს უფრო ხედავს, ვიდრე ვიღაც სამეულის მიერ დაანონსებულ უცნაურ თავყრილობას. ბევრი ადამიანი იქ მივა, როგორც უკრაინის მხარდამჭერი“**

***— ბატონო კახა, დღევანდელ აქციას თუ უერთდებით?***

— ამასთან დაკავშირებით ძალიან მკაფიო პოზიცია გვაქვს. ინსტრუქტაჟის დონეზე ჩვენ არ გვაქვს მითითება, რომ ვინმე აუცილებლად უნდა შეუერთდეს ან არ შეუერთდეს. ყველა ინდივიდუალურად მიიღებს გადაწყვეტილებას. ბევრი ადამიანია, რომელიც ამ აქციაში უკრაინის კომპონენტს უფრო ხედავს, ვიდრე ვიღაც სამეულის მიერ დაანონსებულ უცნაურ თავყრილობას. ბევრი ადამიანი იქ მივა, როგორც უკრაინის მხარდამჭერი.

***— სამეული ახსენეთ და აქცია დააანონსეს და თავად უკრაინაში წავიდნენ...***

— ეს არის კლასიკური შემთხვევა არათანმიმდევრულობის და აბსურდულობის აი ამ პოლიტიკური ფიგურების. უბრალოდ, სირცხვილია! როდესაც რაღაცას აკეთებ, კეთილი ინებე და შენი სიტყვა შეასრულე. ეს არის სწორედ ის, რაც იმედგაცრუებას აღრმავებს ქართველ საზოგადოებაში.

***— თქვენი პარტიიდან მიდის ვინმე უკრაინაში?***

— უკრაინაში წასვლას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი არსებობდა. გამომდინარე იმ მოვლენებიდან, რომელიც აქ მიმდინარეობს, ვგულისხმობ ქვეყნის შიდა პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ჩვენ უკრაინას მხარს ვუჭერთ. მაშინ როდესაც, სხვები საერთოდ ვერ აცნობიერებდნენ იმ რისკებს, რომელიც უკრაინას უკავშირდებოდა, ჩვენ დავაინიცირეთ საპარლამენტო რეზოლუცია და ეს იყო ძალიან მკაფიო გზავნილი უკრაინელებისთვის. სამწუხაროდ, ტექნიკური საკითხების გამო, წასვლა ვერ ხერხდება.

# „აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში ანტირუსული განწყობაა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რიან: ჩვენ რუსებს ვეხმარებით, რუსეთმა უნდა გაიმარჯვოსო, მაგრამ არ სჯერათ, რომ გაიმარჯვებს, ფიქრობენ, რა როგორ იქნება, მსჯელობებია.

***— საინტერესოა.***

— რუსეთი და რუსული სამხედრო ძალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან უნდა გავიდეს, ჩემი გადასახედიდან, სწორედ მაშინ მოხდება, როდესაც ის დაკარგავს ჰეგემონის როლს, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ კავკასიაში, საქართველოში.

როდესაც რუსეთი აქ თავის პოზიციას დაკარგავს, მან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჯარი უნდა გაიყვანოს. დარწმუნებული ვარ, როდესაც რუსის ჯარი აფხაზეთიდან და ცხინვალიდან გავა, ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენას დამოუკიდებლად მოვძებნით.

აფხაზეთსა და ცხინვალში ტანკებით შევარდნა არ დაგვჭირდება. როდესაც აგრესორი სახელმწიფო სეპარატისტების მხარდამჭერი არ იქნება და მათ ზურგს ველარ გაუმაგრებს, ამ შემთხვევაში ჩვენ მათთან მოვილაპარაკებთ.

***— ომიდან 30 წელი გავიდა, 30 წლის წინ, შერეული ქორწინებები 45%-ს შეადგენდა და კონტაქტებიც ბევრი იყო. დღეს თუ გაქვთ კონტაქტები?***

— დღეს, რა თქმა უნდა, იმ დონეზე არ არის, რა დონეზეც იყო, მაგრამ, ბუნებრივია, კონტაქტები და ურთიერთობები არის. განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ, როდესაც აფხაზეთში თავისი საოკუპაციო ჯარი შემოიყვანა და მცოცავი ანექსიის გზას დაადგა, ეს კავშირები ძალიან შეზღუდულია.

თუმცა, კავშირები არის და ურთიერთობები მაინც გრძელდება. ამ კავშირებიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ვთქვა, რომ საოკუპაციო ძალების აფხაზეთიდან გასვლის შემდეგ, ყველა პირობა გვექნება იმისათვის, რომ მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ და ბევრ რაღაცაზე შევთანხმდეთ.

***— ანუ უკრაინის ომში დამარცხების შემთხვევაში აფხაზეთში უკმაყოფილება გაიზრდება?***

— აფხაზეთში რუსეთისადმი უკმაყოფილება ყოველთვის არსებობდა. დღეს რუსების მიმართ უფრო დიდი უკმაყოფილებაა, მათ სხვა გზა რუსეთს იქით არ აქვთ. როდესაც ეს გზაც მოიჭრება, შეიძლება აფხაზები და ქართველები ერთმანეთის პირისპირ დავრჩეთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ შეთანხმებას შევძლებთ.

# ბაიდენმა მონაწილეობა მიიღო ბუქარესტის ცხრიანის მუშაობაში



გრძელდება აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენის ვიზიტი პოლონეთში. მისი დასრულების წინ გაიმართა სამიტი „ბუქარესტის ცხრიანი“. როგორც ცნობილია, ამ გაერთიანების შემადგენლობაში შედიან: პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი.

სამიტის წევრების წინაშე თავად ბაიდენი გამოვიდა. მან თქვა, რომ აშშ თავის ვალდებულებების ერთგული რჩება და აღმოსავლეთ ევროპას დაიცავს რუსული აგრესიისაგან.

სამიტს დაესწრო ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგიც.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ბაიდენმა პუტინს უპასუხა

როგორც ცნობილია, რუსეთის დიქტატორმა პუტინმა გამოაცხადა სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების (სნვ-3) შეჩერების შესახებ. ამან მთელ მსოფლიოში მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

პუტინის ნაბიჯს ამომწურავი შეფასება მისცა უკრაინელმა სამხედრო ექსპერტმა ოლეგ ჟდანოვმა.

უკრაინელი ექსპერტი ხაზს უსვამს იმას, რომ პუტინი შეგნებულად ძაბავს საერთაშორისო ვითარებას. გათვლა მარტივია: დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა აშშ, დადგება რა ბირთვული ომის რეალური საფრთხის წინაშე, მოსკოვთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება.

პუტინის უკანასკნელი განცხადება სხვა არაფერია, თუ არა აშშ-ის შეშინების მცდელობა. ამაში ჟდანოვს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსებიც ეთანხმებიან. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ბაიდენი არ შეშინდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინას სრულფასოვან სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ დახმარებას აღმოუჩენენ. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება.

ბაიდენმა აღნიშნა, რომ შანტაჟისა და შეშინების რუსული პოლიტიკა არაფრის მომცემია. მოსკოვში უნდა შეეგუონ იმას, რომ მათი არავის ეშინია. ეს თანაბრად შეეხება როგორც უკრაინას, ისე აშშ-ს და მთელ ევროპას.

ბაიდენმა განაცხადა, რომ თავისი პოლიტიკით პუტინმა საპირისპიროს მიაღწია. მას არ სურდა ნატოს გაფართოება, მაგრამ შვეციისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საზღვრები უკვე რუსეთს მიუახლოვდა. პუტინს არც უკრაინის ნატოში შესვლა სურს, თუმცა დღეს უკრაინა დეფაქტოდ უკვე ნატოს წევრია.

ასეთია მოკლედ აშშ-ის პრეზიდენტის პასუხი პუტინის მუქარაზე. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა რუსეთის მართლაც ეშინოდათ. დღეს უკვე ბაიდენის ოპონენტებიც კი აღიარებენ, რომ რუსეთი ისეა დასუსტებული, რომ არც აშშ-ს და არც ევროპას საფრთხეს არ უქადის. ბადენის პასუხიც პუტინისადმი სწორედ ამან განაპირობა.

# კახი კახიშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილი პრინციპული ლიდერია, რომელმაც ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა შექმნა“

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

სოვთ ალბათ, რომ ეს იყო საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევა. მაშინ როდესაც, არ არსებობს საერთაშორისო ტრიბუნა, სადაც საქართველოს ხმა არ ამოეღო და მხარი არ დაეჭირა რეზოლუციისთვის უკრაინის ომთან დაკავშირებით. ამასობაში ხმას არ იღებ სხვა ქვეყნებზე. არც ერთი რეგიონის ქვეყანაზე ხმას არ იღებ, არც ერთი დახმარებია არც იარაღით, არც პოლიტიკური მხარდაჭერით. არც აზერბაიჯანი და არც სომხეთი (რეგიონს ვგულისხმობ), იქ ხმას არ იღებ და აქ პრეტენზიები გაქვს, ეს ცოტა უცნაურია. როცა სხვა ქვეყნებმა საკუთარი ელჩები გაიყვანეს, ერთადერთი, საქართველოს ელჩი დარჩა ბოლო წუთებამდე ომის ხაზზე და ისიც იქაური ხელისუფლების იგნორის ფონზე.

***– უკრაინის მაღალჩინოსნებს რომ თავი დავანებოთ, არანაკლები ბრალდებები ისმის ქვეყნის შიგნით, რადიკალური ოპოზიციის მხრიდან.***

– თქვენ გახსოვთ, 2008 წლის ომის დროს საქართველოს ოპოზიცია გადავიდა დუმილის რეჟიმზე და კონსოლიდირებული იყო ხელისუფლებასთან. ოპოზიცია გაგებით მოეკიდა იმ ტრაგედიას, რაც ჩვენს ქვეყანაში დატრიალდა და ქულების დაწერის ნაცვლად, მხარდაჭერა გამოუცხადა ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდნენ ომის მიზეზებსა და შედეგზე. დღეს რას ვხედავთ? – თუნდაც ხედავდე, რომ შენი ხელისუფლება არასწორად მოიქცა, იმის ნაცვლად, რომ შიგნით გაარკვიო საკითხი და მიიღო პასუხი, მიდიან სხვა ქვეყანაში და ჭორაობენ საკუთარ ქვეყანაზე. ეს ჩემთვის გაუგებარია. როგორ შეიძლება არ გიყვარდეს შენი ქვეყანა ისე, რომ სხვა ქვეყნის მხრიდან გიხაროდეს შენი სამშობლოს ლანძღვა. როცა ოჯახის წევრებს ერთმანეთში პრობლემა აქვთ, გაბრაზებული გადის და მეზობლებს უყვება, მოდით, ნახეთ, რა ხდება ჩემს სახლშიო? – არა. ის არკვევს თავის საქმეს თავის ოჯახში. ჩვენს ოპოზიციას კი ქვეყნიდან სხვადასხვა ინტერპრეტაციით გააქვს ამბები და ილანძღებიან. ჩემთვის ეს ნონსენსია, სიმართლე რომ გითხრათ. მე ვარ ხელისუფლებაში და ვიყავი ოპოზიციაში. ჩემთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქე. მე პირადად ძალიან არ მესიამოვნა ის კადრები, როცა ვნახე, უკრაინულმა ხელისუფლებამ მიშა სახურავზე როგორ ათრია თმებით. ხომ შეიძლება, პოლიტიკის გამო არ გეზიზღებოდეს ადამიანი. რატომ უნდა გვეზიზღებოდეს ერთმანეთი მოქალაქეებს იმის გამო, რომ პოლიტიკურად სხვა შეხედულება გაქვს. მით უმეტეს, როცა ეს ამბები გადაგვაქვს საერთაშორისო მეგობრობაში და ითხოვ ქვეყნის დასჯას და ამით სიამოვნებას იღებ, ეს ჩემთვის უცნაური და მიუღებელია.

გვესმის ჩვენივე კოლეგების ბრალდებები, რომ საქართველო სანქციების გვერდის ავლით რუსეთს ხელს უწყობს. გაუგებარია, ამას რატომ ამბობენ. თან არც ერთი ფაქტი არ არსებობს. აშშ-ის ელჩი გამოვიდა და განაცხადა, რომ ამის მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ ამ მავნებლურ კამპანიას ისევ აგრძელებენ. საფუძვლიანი რომ იყოს რომელიმე ბრალდება, კი ბატონო. დასვი კითხვები და გაარკვიე, მაგრამ ამას აკეთებენ იმისთვის, რომ უკრაინის მაღალჩინოსნებს ასიამოვნონ.

მათ აქვთ ომის კომპლექსი. წაგებული ომის კომპლექსი. ამიტომ სურთ არ დასრულდეს საქართველოს ისტორია იმით, რომ მხოლოდ მათ დროს დაიკარგა უმნიშვნელოვანესი ტერიტორიები, რომელიც აღიარებულია. ამის კომპლექსი აქვთ და სურთ თქვან, რომ აი, თქვენც ხომ დაკარგეთ. გააუბედურეთ ხალხი. როგორ შეიძლება ასეთ სიტუაციაში ჩაება ომში.

სად უკრაინის ტერიტორია და სად ჩვენი. სად უკრაინის მოსახლეობა და სად ჩვენი, სად უკრაინის შეიარაღება და სად ჩვენი. სად უკრაინის სიმდიდრე. მძიმე ტექნიკის რაოდენობით ევროპაში უკრაინა პირველ ადგილზე იყო. ჩვენ ადამიანებს ხორცად არ ვუყურებთ. ჩვენ ეს გამოვცადეთ. კარგად ვიცით, ზოგიერთებს საკუთარ დევნილებზე ჰქონდათ ალერგია და სხვა ქვეყნის დევნილებს მისტირიან.

მაგალითად, მოლდოვას, რომელმაც მიიღო დევნილები, ევროკავშირმა გადაურიცხა თანხა ამ დევნილების შესანახად, მაგრამ საქართველო არ დალოდებია სხვისგან დაფინანსებას და რა საშუალებაც ჰქონდა, ყველაფერი გააკეთა მათ დასახმარებლად. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ევროკავშირის ქვეყნებშიც კი პრაგმატული პოლიტიკაა. ჯერ შენს ქვეყანაში უზრუნველყავი მშვიდობა. შენი ქვეყნის სუვერენიტეტის ხარჯზე, სხვისი ომის შემსუბუქება.... მე კარგად მახსოვს 2008 წელი, როცა მიტოვებული ვიყავით ყველასგან. მახსოვს ამერიკული გემი..... მაგრამ ის ქმედითი ნაბიჯები, ასეთი მკაცრი, რაც დღეს ხორციელდება, რომ განხორციელებულიყო 90-იან წლებში, ან 2008 წელს, შეიძლება დღეს უკრაინის ომი არ ყოფილიყო. თუნდაც ამის ნახევარი სანქციები დაწესებულიყო რუსეთის მიმართ, ამას გაგრძელება არ მოჰყვებოდა.

***– ინტერვიუს დასაწყისში, თქვენ პრემიერი შეაფასეთ, როგორც არაპოპულარული, მაგრამ სწორი ნაბიჯებით მოქმედი... მან მოახერხა და ამ რთული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, საქართველოს დაუმკვიდრა ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე***

– პრემიერ-მინისტრი დანიშვნისთანავე გაემგზავრა ევროსაბჭოში. ის გამოირჩევა ევროსტრუქტურებში განსაკუთრებული ვიზიტებით. გარდა ამისა, მან მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს როლი რეგიონში. ხედავთ, რომ აზერბაიჯანის ლიდერი, სომხეთის ლიდერი ირაკლი ღარიბაშვილს აღიქვამს, როგორც მთავარ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც დამაკავშირებელი ხიდია ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ფონის ჩამოყალიბებაში. ეს ხომ ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. ასეთი პატარა ქვეყნის მეთაურმა მეტი რა უნდა გააკეთოს.

ავიღოთ ასევე შავ ზღვაში კაბელის გაყვანის ისტორიული პროექტი. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთ მნიშვნელოვან ფაქტებს ყურადღებას არ ვაქცევთ.

ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ ფარმაცევტულ სფეროზე. უპრეცედენტო საქმე გააკეთა პრემიერმა. ვისაც მედიკამენტები ესაჭიროებოდა, ყველამ კარგად იცის, ბიუჯეტის ნახევარი ოჯახს მედიკამენტების შეძენაში სჭირდებოდა. პრემიერმა მოახერხა და ეს საკითხიც მოაგვარა. ამას ხომ გამბედაობა სჭირდება. არ არის მარტივი გიგანტებთან ბრძოლა, მაგრამ გაბედა და გააკეთა.

ამ ყველაფერს რისთვის აკეთებს? იმიტომ აკეთებს, რომ ხალხი ამოვიდეს სიდუხჭირიდან, ესაა პრაქტიკული ნაბიჯები. უკვე მიდის საუბარი სურსათის ფასების დარეგულირებაზე. ეს ძალიან კარგად გასათვლელი და სამუშაო საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამასაც წარმატებით გაართმევს მთავრობა თავს.

ხალხი დაიღალა პოლიტიკური კინკლაობით. მათ აინტერესებთ პრაქტიკული, კონკრეტული ნაბიჯები და არა სიტყვების ბაქი-ბუქი.

***– არ შემიძლია არ გკითხოთ კუბილიუსის ბოლო განცხადებაზე, მან საქართველოს მთავრობას მოუწოდა, ითამაშონ იმ წესებით, რასაც გვიკარნახებენ.***

– კუბილიუსმა თავის თავს დაუქნიოს თითი. როდესაც საქართველოში ჩამოდიოდა კუბილიუსი, მას მაღალი დონის დახვედრებს უწყობდნენ, ლამის პრემიერ-მინისტრის დონეზე ხვდებოდნენ. ახლა, როცა ეს აღარ არის, გაღიზიანებულია და უჭირს დაჯერება, რომ ყველაფერი ძველებურად ვერ არის. სწორედ ამიტომაა, რომ ეს ყველაფერი გადაიზარდა აგრესიაში და ვიღებთ იმ განცხადებებს, რასაც მისგან ვისმენთ.

პარტნიორობას და კოლეგიალობასაც თავისი წესები აქვს. მაგალითად, მეზობელმა რომ გასესხოთ ფული ტელევიზორისთვის, თქვენ წახვიდეთ და იყიდოთ. მერე ის მოგივარდეთ და დაგიწყოთ ჩხუბი, აქ რატომ დადე, მე ასე არ მომწონს. გინდა ასეთი სესხი? – ასეთი არც სესხი გვინდა და არც ასეთი რევერანსები.

მე მქონდა უცხოელ კოლეგასთან საუბარი 12 პუნქტის შესრულებაზე და დავსვი კითხვა. მართალია უკრაინას და მოლდოვას მიეცით სტატუსი, მაგრამ ნახეთ, ანგარიშმა რა ცხადყო. ეს ანგარიში ხომ გაკეთებულია ტექნიკური პერსონალის მიერ, აქ ციფრებს ვერ შეცვლი. შეიძლება დირექტივა იყო და სურვილიც იქნებოდა, მაგრამ ფაქტებს ვერ გაექცევი. საქართველო მთელი 12 ქულით უსწრებს მოლდოვას და თითქმის ყველა საკვანძო პარამეტრით უსწრებს უკრაინას. ანგარიში რომ გამოქვეყნდა, ვუთხარი, აი, ნახეთ შედეგი-მეთქი. რა მითხრეს იცით? – 27-ში ქვეყნის ლიდერი მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებასო.

გვახსოვს კარგად, მაკრონმა სიტყვასიტყვით განაცხადა, რატომ მიანიჭა ორ ქვეყანას სტატუსი. იმიტომ, რომ უკრაინა ახლა ომშია. მოლდოვა კი გეოგრაფიულად საშიშ ზონაში. არის მეორე ფაქტიც, რომ მათ ჰყავთ ლობისტები. ამიტომ არის, რომ ვიღაც პოლიტიკოსები თავს უფლებას აძლევენ, გააკეთონ რაღაც აბსურდული განცხადებები... რამდენი წნეხიც არ უნდა განხორციელდეს, რამდენი ბრალდებაც არ უნდა გაჟღერდეს, საქართველოს ხელისუფლება დგას სწორ პოლიტიკურ გზაზე, რაც ითვალისწინებს, განვითარებას, სტაბილურობას, მშვიდობას. ეკონომიკურ-სოციალურ სტაბილურობას.

## სპორტი

# 17 წლამდე გოგონებმა სომეხი თანატოლები დაჯაბნეს



საქართველოს 17 წლამდე გოგონათა ნაკრებმა, ერევანში, სომეხ თანატოლებთან პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. სალომე ხუბულურის გუნდმა მეტოქე დიდი ანგარიშით, 5:0 დაამარცხა.

მატჩის მე-13 წუთზე პენალტით ანგარიში ნინო ბუხრიკიძემ გახსნა; 34-ე წუთზე საქართველოს ნაკრების უპირატესობა ორამდე ნათია ჯოჯუამ გაზარდა; 47-ე წუთზე ლიზი კანკიამ მასპინძელთა კარში მესამე გოლი გაიტანა; 52-ე წუთზე ნინო ბუხრიკიძემ დუბლი გაიფორმა; მატჩის საბოლოო ანგარიში კი, თინათინ ამბალიამ დააფიქსირა.

საქართველოს და სომხეთის 17 წლამდე ნაკრებების მეორე ამხანაგური მატჩი 25 თებერვალს, კვლავ ერევანში გაიმართება.

ეს ამხანაგური მატჩები ჩვენი გუნდისთვის გაზაფხულზე გასამართი ოფიციალური შეხვედრებისთვის მოსამზადებელი ეტაპია.

12 და 15 მარტს, საქართველოს 17-წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბ ლიგის ფარგლებში ისრაელს და შოტლანდიას დაუპირისპირდება.

# მბაპე ვინისიუსის ნაცვლად



ესპანური გამოცემების ცნობით, პსჟ-ს მფლობელმა, ალ ტანიმ ალ ჰელაიფს დაავალა, რომ ვინისიუს ჟუნიორზე მუშაობას სერიოზულად შეუდგეს.

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა „ენფილდზე“, ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩში ლივერპულთანაც დაამტკიცა, რომ საოცარი ფეხბურთელია და დიდი მომავალი აქვს.

ალ ტანის მიაჩნია, რომ კილიან მბაპე ადრე თუ გვიან პარიზელთა რიგებს მაინც დატოვებს, სწორედ ამიტომ, პსჟ-მ დროში უნდა მოიგოს და მადრიდის რეალთან შეთანხმებას მიაღწიოს.

არ გამორიცხავენ, რომ პსჟ-მ „ბლანკოსს“ თავად მიმართოს და კილიან მბაპესთან დაკავშირებით დათმობაზე წავიდეს, მაგრამ სანაცვლოდ ფლორენტინო პერესს ვინისიუს ჟუნიორის დათმობა მოუწევს.

რეალის პირველ პირს არაერთხელ უთქვამს, რომ ვინი ხელშეუხებელია, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება და რა გადაწყვეტილებას მიიღებს „ბლანკოსის“ მენეჯმენტი, როდესაც საქმე მბაპეს შეეხება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# გვარდიოლის გოლით გვარდიოლა ფრეს დასჯერდა

**ლაიფციგი-მანჩესტერ სიტი 1:1**
**ლაიფციგი. რედ ბულ არენა**
**0:1 მარეზი (27), 1:1 გვარდიოლი (70)**

**ლაიფციგი:** ბლასვიჩი, კლოსტერმანი (ჰენრიხსი 46), ორბანი, გვარდიოლი, ჰალსტენბერგი (რაუმი 89), ლაიმერი, შლაგერი (ჰაიდარა 82), სობოსლაი, ფორსბერგი (ნკუნკუ 66), ვერნერი, ა.სილვა (პოულსენი 82)

**სიტი:** ედერსონი, უოლკერი, აკანჯი, დიაში, აკე, როდრი, გიუნდოგანი, მარეზი, ბ.სილვა, გრილიში, ჰოლანდი

ამ წყვილში ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა. თუმცა, ფავორიტად მაინც სიტი რჩება.

გერმანიაში გამართული შეხვედრა კი, შესაძლოა, ორ ნაწილად დავყოთ: ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ლაიფციგი მოედანზე არცთუ მარტივი ამოცანის შესასრულებლად იყო გასული – გოლი არ გაეშვა. გერმანულმა გუნდმა პირველი ტაიმი ყრუ



დაცვაში ითამაშა და შეტევაში, ფაქტობრივად, არ გადადიოდა. მარკო როზეს შეგირდებმა 45 წუთის მანძილზე კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს. თუმცა, თავდაპირველი გეგმაც ვერ შეასრულეს და დაცვაში ელემენტარული შეცდომის გამო, რიად მარეზმა ლაიფციგი დასაჯა.

ლაიფციგის მწვრთნელმა მეორე ტაიმში ფეხბურთელებიც შეცვალა და სათამაშო ტაქტიკაც, რამაც შედეგი მოიტანა. გასაკვირად, მანჩესტერული გუნდის თავკაც პეპ გვარდიოლას ერთი შეცვლაც კი არ გაუკეთებია.

ლაიფციგი უფრო თავდაჯერებული გამოიყურებოდა და და გოლი, რომელიც იოშკო გვარდიოლმა გაიტანა, ლოგიკურიც იყო.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ სიტიმ კი მოუმატა, მაგრამ ისეთი ვერაფერი შექმნა, რომელიც გამარჯვებას მოუტანდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჯეკ გრილიში

ასეთ მატჩში საუკეთესოს დასახელება ცოტა რთულია, რადგან მოედანზე სიტუაცია ხშირად იცვლებოდა და მაქსიმუმი არავის გამოუვლენია. ჩვენ ჯეკ გრილიში გამოვარჩიეთ. გუნდის გოლშიც მონაწილეობა მიიღო და საკმაოდ აქტიური იყო საკუთარ ფლანგზე, რითიც ლაიფციგს პრობლემებს უქმნიდა.

**მარკო როზე:**

– ორი ძალიან განსხვავებული ტაიმი ვნახეთ. ჩვენ, უბრალოდ, არ ვიყავით მოედანზე პირველ ტაიმში. ბურთს დავდევდით, როცა ხელში ჩაგვივარდებოდა, არ ვიცოდით, რა გვექნა. მეორე ტაიმი სხვანაირი იყო, ბურთს ვაკონტროლებდით, ისე ვთამაშობდით, როგორც ვგეგმავდით. პირველ ტაიმში ისე ვითამაშეთ, ჩემპიონთა ლიგის დონეს ვერ ვაკმაყოფილებდით.

რა თქმა უნდა, ჰენრიხსის გამოსვლამ ბევრი რამ შეცვალა. პირველ ტაიმში კლოსტერმანით ვთამაშობდით, რადგან ის დაცვაში მაგარია. კლოსტერმანი ტრავმამოშუშებულია, ასე რომ, მისი შეცვლა ისედაც დაგეგმილი იყო.

**პეპ გვარდიოლა:**

– მეორე ტაიმში წინ ნაბიჯი ვერ გადავდგით. მეტოქემ დიდი ზეწოლა შემოგვთავაზა. გონს გოლის შემდეგ მოვედით და ბოლო 20 წუთი მეორეშიც კარგი გვქონდა. შანსები ორივე ტაიმში გვქონდა. რაც მთავარია, შედეგი კარგია.

საერთო ჯამში მატჩით კმაყოფილი ვარ. ძალიან ძლიერი ტურნირია, სადაც უკვე აღარ არიან ძლიერი კლუბები. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ყველა თამაშს 4:0-ს მოვიგებთ, ბოდიში, იმედს გაგიცრუებთ.

**ინტერი-პორტუ 1:0**
**მილანი. სან სირო**
**1:0 ლუკაკუ (86)**

**ინტერი:** ონანა, შკრინიარი (დუმფრისი 81), აჩერბი, ბასტონი, დარმიანი, ბარელა, ჩალჰანოღლუ, მხითარიანი (ბროზოვიჩი 71), დიმარკო (გოსენსი 58), ლაუტარო, ჯეკო (ლუკაკუ 58)

**პორტუ:** კოშტა, ჟ.მარიუ (ბორხესი 90), პეპე, მარკანო, ზაიდუ, ოტავიო, ურიბე, გრუიჩი, გალენი (ევანილსონი 51), ტარემი (ვენდელი 83), პეპე

**გაძევება:** ოტავიო (78)

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თავდაპირველად ინტერი უფრო აქტიური და მწვავე იყო. კარგი მომენტები ჰქონდათ ლაუტაროსა და ჩალჰანოღლუს, მაგრამ პორტუს კონტრშეტევებმა მათი აქტიურობა გადაფარა.

ინტერი მეკარე ანდრე ონანამ რამდენჯერმე გადაარჩინა. გალენის დარტყმის შემდეგ ონანაც უძლური იქნებოდა, მაგრამ პორტუს ფეხბურთელმა ცარიელ კარს ააცილა. თუმცა, ტაიმის ბოლოს ისევ მილანური კლუბის იყო და, ცოტა მოულოდნელიც არის, რომ გუნდები შესვენებაზე უგოლოდ გავიდნენ.

შესვენების შემდეგ პორტუ უფრო საინტერესოდ და აზრიანად გამოიყურებოდა. მოედანზე ლუკაკუსა და ბროზოვიჩის შესვლის შემდეგ ინტერმა დაიბრუნა ინიციატივა. მალე სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ. 10 ფეხბურთელით დარჩენილმა პორტუმ კი, ბოლომდე ველარ შეძლო და ლუკაკუმ მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა. შესაძლოა, ეს გოლი შემდეგ ეტაპზე გამსვლელიც კი აღმოჩნდეს.

ინტერმა მოიგო, მაგრამ გარანტირებული არაფერია – საპასუხო მატჩში მილანელებს რთული ბრძოლა მოელით.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ანდრე ონანა

არჩევანი ლუკაკუსა და ონანას შორის გავაკეთე. ბელგიელმა შემტევმა ნახევარ საათზე ოდნავ მეტი დაჰყო მოედანზე, ხოლო ონანა სრულად გაისარჯა და რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა კარი. რომ არა მისი კარგი თამაში, ლუკაკუს გოლიც არაფრისმომცემი იქნებოდა.

# დინამოს პრეზიდენტის მოწვევით საქართველოში ჩელსის ყოფილი მწვრთნელი ჩამოვიდა



თბილისის დინამოს პრეზიდენტის, რომან ფიფიას სპეციალური მოწვევით, დედაქალაქურ კლუბს ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტი, ავრაამ გრანტი ესტუმრა.

ვიზიტის პირველ ნაწილს „დინამო თბილისის“ აკადემიამ უმასპინძლა. გრანტი ფიფიასთან ერთად აკადემიის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს შეხვდა. საუბარს გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, ცნობილმა მწვრთნელმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და კითხვებსაც უპასუხა.

აკადემიაში ვიზიტის შემდეგ გრანტმა დინამოს მთავარი გუნდის ბაზაზე გადაინაცვლა, სადაც მთავარ მწვრთნელ გიორგი ჭიაბრიშვილს გაეცნო და დინამოელთა ვარჯიშს დაესწრო.

**ავრაამ გრანტი:**

– თბილისის დინამოს პრეზიდენტი ჩემი მეგობარია და მის სტუმრად ჩამოვედი. ასევე მსურდა ანდრეს კარასკოს ნახვაც, რომელიც აკადემიის მწვრთნელია. ჩემი კარიერაც აკადემიიდან დაიწყო, სადაც 13 წელი გავატარე. ამიტომ სასიამოვნოა დინამოს აკადემიაში სტუმრობა და იმის ნახვა, თუ როგორ მუშაობს. აქ ნანახმა თითოეულმა დეტალმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მოედნები და ინფრასტრუქტურა შესანიშნავია. ყველაფერი მომეწონა. ვფიქრობ, ანდრეს კარასკოს მთავარი მწვრთნელობა კარგი იდეაა.

ვფიქრობ, ტექნიკური თვალსაზრისით, ქართული და ესპანური ფეხბურთი ერთმანეთთან ახლოს დგას. შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ – დინამო დიდი კლუბია.

ხვიჩა კვარაცხელიას თამაში პატარა ასაკში შემთხვევით ვნახე და მაშინაც გაოცებული დავრჩი. ის შესანიშნავი ფეხბურთელია და მსოფლიოს საუკეთესოებში დგას. რასაც მოედანზე აკეთებს, გასაოცარია. მომწონს, როგორც ფეხბურთელი და თუ როგორ იქცევა მოედანზე. ხვიჩა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და შეუძლია მსოფლიოს 5 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდეს. აქამდე მას ბევრი არ უკლია. ნაპოლის წარმატებაში მისი კონტრიბუცია ძალიან დიდია. ფანტასტიკური ფეხბურთელია და მისი მსგავსი ბევრი არ არის.

გრანტი სხვადასხვა დროს ისრაელის ეროვნული ნაკრებისა და ჩელსის მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ლონდონური კლუბი უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა.

ამჟამად გრანტი ზამბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

# ზუროსის თანაშემწე ბერძნულ გუნდს გაწვრთნის



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ილიას ზუროსის ასისტენტი, გიორგიოს ლიმნიატისი საბერძნეთის უმაღლესი ლიგის კლუბ ლავრიოს მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

ლავრიო გასულ სეზონში ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობდა, მაგრამ ახლა რთული დროება უდგას და საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. კლუბის ხელმძღვანელობამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად ახალი მწვრთნელის მოწვევა გადაწყვიტა და ლავრიოს მართვის სადავეები ლიმნიატისს გადაულოცა.

ლიმნიატისი ბერძნულ კალათბურთში ცნობილი პერსონა უფრო მისი მოთამაშის კარიერითაა: ბერძნულ გრანდ ოლიმპიაკოსში სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი; იყო საბერძნეთის ნაკრების წევრიც.

სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო. ლავრიო მისი პირველი კლუბია, სადაც მთავარი მწვრთნელი იქნება. აქამდე მთავარ მწვრთნელად მხოლოდ საბერძნეთის 16-წლამდელთა ნაკრებში უმუშავია, ხოლო ასისტენტი ოთხ კლუბში – ნეა კიფისაში, კიმისში, პაოკსა და აეკ-ში ყოფილა.

**გეორგიოს ლიმნიატისმა,** რომელიც ამჟამად საქართველოს ნაკრებთან ერთად ნიდერლანდებში იმყოფება, ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ლავრიოს ბოლო წლებში დიდი ამბიციები ჰქონდა. კლუბი საბერძნეთის ჩემპიონატში მოწინავეთა შორის იყო. შარშანწინ ითამაშა ფინალური სერია, როცა ოლიმპიაკოსი უმაღლესიდან მოკვეთეს და პანათინაიკოსთან სერია 1:3 დათმო. გუნდი გავიდა ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში, სადაც საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი. ამჯერად ლავრიოს პრობლემები აქვს. ვერ შეინარჩუნა წამყვანი კალათბურთელები და ახლა საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. შემოთავაზება მივიღე, რადგან გამოწვევებს არ ვუშინდები და სადაც საბრძოლია, ბოლომდე მიყვარს დახარჯვა. იმედი მაქვს, მოვახერხებთ გუნდის უმაღლესში დატოვებას და ლავრიოს ევროსარბიელსაც დავუბრუნებთ.

ლავრიოს 12-გუნდიან საბერძნეთის ჩემპიონატში 3 მოგება და 9 მარცხი აქვს. ანალოგიური შედეგით 9-12 ადგილებს 3 გუნდი – ლავრიო, აპოლონ პატრასი და კარდიცასი იყოფს.

# შავი ლომი სამხრეთამერიკულ ტურნეს გამართავს



რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, პირველი პროფესიული ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი სამხრეთამერიკული ტურნესთვის მოემზადება.

სამხრეთამერიკული ტურნე 2023 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების ნაწილია. შავი ლომი აპრილსა და მაისის დასაწყისში ამერიკის სუპერლიგის მონაწილეებთან კონკურსგარეშე ხუთ მატჩს გამართავს.

სამხრეთამერიკის სუპერ ლიგა 2019 წელს დაარსდა, თუმცა პირველი ტურნირი მხოლოდ 2021 წელს ჩაატარეს და მასში არგენტინის, ურუგვაის, ბრაზილიის, ჩილეს, კოლუმბიისა და პარაგვაის პროფესიული ფრენჩაიზები იღებდნენ მონაწილეობას. პირველი გათამაშების გამარჯვებული არგენტინული ხაგუარეს XV გახდა, ხოლო 2022 წლის ტურნირი ურუგვაის პენიაროლმა მოიგო.

თვენახევრის განმავლობაში შავი ლომი ურუგვაიში, მონტევიდეოში შეიკრიბება და ხუთიდან ოთხ თამაშს „შარუაზე“ გამართავს, რომელიც 1984 წელს აშენდა, რეკონსტრუქცია 2018 წელს ჩაუტარდა და 11 226 მაყურებელს იტევს. იქნება ერთობლივი ვარჯიშები ადგილობრივ ფრენჩაიზთან, რომლის შემადგენლობის 90% ურუგვაის ნაკრებს წარმოადგენს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა, გარდაიცვალა ცნობილი ექიმ-ოტოლარინგოლოგი, მაღალი რანგის პროფესიონალი და ჯანდაცვის ორგანიზატორი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი

**თამაზ ჯანაშია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, მის ახლობლებს და მეგობრებს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 2. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო; 4. მეტალურგიული ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 5. ფულის ერთეული უკრაინაში; 9. გადასატანი ქეჩის კარავი შუა აზიაში; 10. ელექტროწინაღობის საზომი ხელსაწყო; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. კუთხე საქართველოში; 16. მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი; 19. თორმეტი თანავარსკვლავედის საერთო სახელწოდება; 20. ცირკის მასხარა, ჯამბაზი; 21. გამოსაკითხი ფურცელი.

**თარაზულად:** 6. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 7. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 8. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 11. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 12. იაპონური ხელოვნური თანამგზავრების სერია; 13. აშშ-ის ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. სადავო საკითხის სწორი დასკვნისთვის მოწვეული სპეციალისტი; 25. უმაღლესი თანამდებობის პირთა კრება ძველ საბერძნეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შეპარდი; 2. ალუვი; 3. რეზექცია; 4. ავოკადო; 5. ტექტონიკა; 9. აფონია; 12. გურზუფი; 14. დიქცია; 15. არგო; 17. რვალი; 18. აბიო.

**თარაზულად:** 6. ტეკილა; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. ქაირო; 11. ჰიდროფობია; 13. ადორაცია; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. ფანდანგო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიზაჟიო; 2. ლიოტარი; 3. პრეამბულა; 4. დუღაბი; 5. ფიშერი; 9. ხომლი; 10. ანარქია; 14. კახიაშვილი; 15. დისპაშერი; 16. ალგოლი; 19. ბოკვერი; 20. სულიკო; 21. პლევრა.

**თარაზულად:** 6. დისტილატორი; 7. ქებურია; 8. ბაგეტი; 11. ბომბორა; 12. ირანი; 13. გურიელი; 17. ვიქტორინა; 18. წალენჯიხა; 22. კუბრიკი; 23. ლელქაში; 24. ბრეტიორი; 25. სინაგოგა.

# ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge


24 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6351
ევრო — 2.7929
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1708
100 რუსული რუბლი — 3.5057

**ამინდის პროგნოზი 24 თებერვლისათვის**




## ინტერმა რომელუ ლუკაკუს გოლის წყალობით მოიგო



ინტერმა საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში პორტო მიიღო და დაამარცხა ანგარიშით 1:0. ერთადერთი გოლი შეხვედრის ბოლოს რომელუ ლუკაკუმ გაიტანა. ლუკაკუ შეცვლაზე შემოვიდა და შესაძლოა შემდეგი მატჩი მან ძირითად შემადგენლობაშიც დაიწყოს. განმეორებითი მატჩი, პორტოში, 14 მარტს გაიმართება და ინტერი ფავორიტად ითვლება.

## ანჩელოტი: „ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ლივერპულთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალმა იდეალური მატჩი ჩაატარა და ის თავისი ფეხბურთელებით ამაყობს: „ლივერპულს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და ჩვენ კიდევ ვაჩვენეთ ყველას ჩვენი ძალა. რეალი ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის და ჩვენთვის მეორე ადგილი ცუდი შედეგია“.

## ნაპოლი ვიქტორ ოსიმენის გაყიდვას არ აპირებს



ნაპოლის პრეზიდენტმა დე ლაურენტისმა ნაპოლის ერთ-ერთ ლიდერზე, ვიქტორ ოსიმენზე ისაუბრა და თქვა, რომ ოსიმენი არ იყიდება და მისი ტრანსფერი არც ერთ გუნდში არ განიხილება. ოსიმენმა წელს იტალიის ჩემპიონატში უკვე 19 გოლი გაიტანა და ის ამჟამად ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლება. მისი შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბი დაინტერესდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## რობერტ გოგოლაშვილის კრებული გამოცემულია

ანსამბლ „ქართული ხმების“ ხელმძღვანელის, ლოტბარ რობერტ გოგოლაშვილის სანოტო ჩანაწერების კრებული გამოცემულია. მისი წარდგინება ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

მაესტროს მიერ წლების განმავლობაში, ექსპედიციების შედეგად მოპოვებული და გაშიფრული სანოტო ჩანაწერების კრებულში შევიდა 22 ქართული ხალხური სიმღერა.

უნიკალური სიმღერებისა და ჩანაწერების აღდგენა-გაციფრების პროცესში მონაწილეობა მიიღეს მუსიკოსთა და ფოლკლორისტთა გამოცდილმა გუნდის წევრებმა, რომელთაც გასულ წელს პირველი ქართული ოპერის, მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერის“ ხელნაწერი აღადგინეს და გამოსცეს.

კრებული გაყიდვისათვის განკუთვნილი არ არის. პროექტის უპირველესი მიზანია გამოცემის იმ მუსიკალურ და ფოლკლორულ წრეებში, ასევე საჯარო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებში გავრცელება, რომელთაც ქართული ხალხური სიმღერების შესწავლისა თუ მათი შემდგომი კვლევა-ძიებისა და პოპულარიზაციის სურვილი აქვთ.

## იუმორი

ექიმი მამაკაცს ეკითხება:
– მომიყევით, როგორ შეიშალა ჭკუიდან თქვენი ცოლი?
– მთებში ვმოგზაურობდით, სადაც შესანიშნავი ექოა, მაგრამ ჩემი ცოლი მიჩვეული იყო იმას, რომ ბოლო სიტყვა ყოველთვის მას ეკუთვნოდა.

●●●

სექსოპათოლოგს მამაკაცი ეკითხება:
– ექიმო, რატომაა, რომ როდესაც ცოლთან სექსით ვარ დაკავებული, ხან მცხელა, ხან მცივა?
– ჰოო, საკვირველია! – შემდეგ მის ცოლს მიუბრუნდა და ეკითხება, – თქვენ ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?
– რა არის მაგაში გასაკვირი, ერთხელ იანვარში და მეორედ ივლისში!...

●●●

ტელეფონის ზარი:
– ალო! გიგი სად ხარ? უფროსი მთელი საათია გეძებს.
– უფროსს გადაეცი, რომ კარგი თანამშრომელის პოვნა ყოველთვის ძნელია!

●●●

ქალი კაცს ეკითხება:
– მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, რომ საშინელი მექალთანე ხართ?
– ტყუილია! აბა კარგად შემომხედეთ, განა საშინელი ვარ?

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეუბნება:
– მზარეულს დაუძახე, მე ამ სისაძაგლეს არ შევჭამ!
– აზრი არ აქვს, არც ის შეჭამს.

●●●

მუზეუმის აღშფოთებული თანამშრომელი მამაკაცს მიმართავს:
– თქვენ, რა, შეიშალეთ? ეს ხომ თავად ლუდოვიკო მე-14 ტახტია!!!
– მერე, რა გაყვირებთ? მოვა და ავდგები.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ნიკო ნანიტაშვილი იუმორისტული შოუს წამყვანია



ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მსახიობი ნიკო ნანიტაშვილი კვლავ იუმორისტული გადაცემის წამყვანის ამპლუაში მოევლინება მაყურებელს.

ნიკომ პირველად იუმორისტული გადაცემა „ნიკო ნანიტაშვილის შოუ“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში წაიყვანა. გადაცემა მალევე დაიხურა.

ამჯერად მსახიობი მაყურებელს ტელეკომპანია „პოსტივის“ ეთერიდან მიესალმება. ყოველ ხუთშაბათს ნიკო გადაცემის სტუმრებთან ერთად ათასობით მაყურებლის საუკეთესო განწყობაზე იზრუნებს.

ახალ იუმორისტულ შოუს „ნიკოს შოუ“ ჰქვია და მას მუსიკალურად დათო ფორჩხიძის ბენდი გააფორმებს, რომლის სოლისტიც ამიკო ჩოხარაძეა.

ტელეკომპანია „პოსტივიზე“ აქამდე „ნოე ჟორჟოლიანის შოუ“ გადიოდა. ნოეს იუმორისტული შოუ ამჯერად „ნიკოს შოუმ“ ჩაანაცვლა.

## გრიბოედოვის თეატრი სპექტაკლებს ესტონეთსა და ლატვიაში ითამაშებს

გრიბოედოვის თეატრის საგასტროლო ტურნე ესტონეთსა და ლატვიაში 25 თებერვალს დაიწყება და 4 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

თეატრი სპექტაკლებს ითამაშებს ტარტუში, იიხვში, რიგასა და დაუგავპილსეში, სადაც ნაჩვენები იქნება სპექტაკლები: „შინელი“, „ალჟირი“ და „კარლსონის თავგადასავალი“.

– ესტონეთში დიდი სიამოვნებით მივდივარ, – განაცხადა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა, ესტონეთის წამყვან გაზეთთან ინტერვიუში, – მე ძალიან მიყვარს ესტონეთი, ჯერ კიდევ იქედან, რაც თქვენთან დავდგი სპექტაკლი. მიყვარს ესტონელი ხალხი. საოცრად კარგები არიან, არაჩვეულებრივი მაყურებელი გყავთ, რომელიც არა მარტო ყველა სიტყვას იგებს, არამედ ყველა ასოს შეიგრძნობს სპექტაკლის მსვლელობისას. ის, რომ ესტონელები ცივები არიან, ეს მოჩვენებითია, პირიქით, ძალიან ცეცხლოვანი ხალხია, თანაგრძნობის და გვერდში დგომით გამორჩეული, ტემპერამენტიანი. მე ეს დანამდვილებით ვიცი.

ავთანდილ ვარსიმაშვილის შემოქმედებას ესტონეთში ძალიან კარგად იცნობენ. 2014 წელს მან ქალაქ ტარტუში სპექტაკლი „მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!“ საოცარი წარმატებით დადგა.

## გიორგი მარშანია ბიჭის მამა გახდა



ჟირაფი ჟოზეს შემქმნელი გიორგი მარშანია ბიჭის მამა გახდა. მსახიობისა და იუმორისტის პატარა „ჰერაში“ დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალშობილს მშობლებმა თედო დაარქვეს.

თედო გიორგი მარშანიასა და მარიამ მიქაძის პირველი შვილია. წყვილმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

## საქართველო ბოლონიის საბავშვო წიგნის ბაზრობაზე წარდგება

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და მწერალთა სახლის ორგანიზებით, 6-დან 9 მარტის ჩათვლით, საქართველო ბოლონიის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და პროგრამით წარდგება.

ბაზრობის დამთვალიერებლებისთვის ილუსტრატორი თათია ნადარეიშვილი საქართველოს ეროვნულ სტენდზე 3 დღის განმავლობაში ვორქშოპებს გამართავს.

## ეროვნულმა გალერეამ გამოფენა ვადაზე ადრე დახურა

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულმა გალერეამ გამოფენა „ავტოპორტრეტი სარკესთან“ დაგეგმილზე ადრე დახურა:

– დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა 4 თებერვლიდან 12 მარტამდე მასპინძლობს ექსპოზიციას „ავტოპორტრეტი სარკესთან“, რომლის ორგანიზატორია კულტურის ცენტრი ათინათი, გამოფენის კურატორი ქეთევან შავგულიძე. გამოფენაზე წარმოდგენილია 41 მხატვრის ნამუშევრები. მხატვარ სანდრო სულაბერიძის მიერ საგამოფენო დარბაზში კედლის დაზიანებისა და თავისი ნახატის ჩამოხსნისა და შეუთანხმებლად გატანის ფაქტის შემდეგ, სოლიდარობის მიზნით, 8 მხატვარმა ასევე მოისურვა ექსპოზიციიდან თავიანთი ნამუშევრების ამოღება, რაც, კულტურის ცენტრ ათინათსა და ეროვნულ გალერეას შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა და მხატვრებისთვის გამოსავლის შეთავაზების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მიიღო გადაწყვეტილება, გამოფენა „ავტოპორტრეტი სარკესთან“ დასრულდეს 20 თებერვალს, 12 მარტის ნაცვლად, და გაიხსნას სხვა, მომდევნო გამოფენა.

გვსურს, დისკომფორტისთვის ბოდიში მოვუხადოთ როგორც გამოფენის სხვა მონაწილეებს, ვისაც არ გამოუთქვამთ ნამუშევრის გატანის სურვილი, ისე დამთვალიერებელს. ამავე დროს, მადლობას ვუხდით კულტურის ცენტრ ათინათს საუკეთესო თანამშრომლობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა გალერეამ, ქვეყნის ერთ-ერთმა პირველმა საგამოფენო სივრცემ, ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ მხატვარს პირველად მისცა შესაძლებლობა, წარმოეჩინა თავისი ხელოვნება, რაც მანამდე არ გახლდათ მუზეუმის საგამოფენო პოლიტიკა. სწორედ მხატვრების მიმართ სახელმწიფოს ასეთი მხარდაჭერა ემსახურება ხელოვნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. დასანანია, რომ ზოგიერთმა მხატვარმა ეს შესაძლებლობა პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა, – ნათქვამია ეროვნული გალერეის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



24 თებერვლისათვის

**ვერძი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **მორიელი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართული ავიაკომპანია; 2. ოფიციალური სახელმწიფო ენა ავღანეთში; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. მუსიკალური ნაწარმოები; 12. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 14. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 15. მდინარე ჰამბურგში; 17. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

**თარაზულად:** 6. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 7. რაიმეს სახეცვლილება, ნაირსახეობა; 8. თავდავიწყებით გატაცება რამეთი; 10. წყლის საქაჩი მექანიზმი; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 16. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 19. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

